

ინკლუზიური განათლება საპილოტე საჯარო სკოლებში

მონიტორინგის ანგარიში



2019

ანგარიში შემუშავებულია გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ იმპლემენტაციის მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმის საქმიანობის ფარგლებში

სარჩევი

შესავალი	3
მონიტორინგის მეთოდოლოგია.....	4
საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურა და საგანმანათლებლო რესურსები.....	6
რესურს-ოთახი	9
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების იდენტიფიცირება/შეფასება.....	13
ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.....	15
ინკლუზიური განათლების სპეციალისტების ჩართულობა.....	22
თანამშრომლობა სკოლის საზოგადოების წევრებს შორის	26
უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ძალადობისგან დაცვა	28
სსსმ მოსწავლეების სასკოლო აქტივობებში ჩართვა	31
ქცევის მართვა.....	33
შიდა და გარე მონიტორინგი.....	35
დასკვნა.....	38
რეკომენდაციები.....	38

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის¹ ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ამსახველ ანგარიშს, რომელშიც იდენტიფიცირებულია საქართველოს საპილოტე საჯარო სკოლებში² ინკლუზიური განათლების სათანადოდ განხორციელებისთვის დამაბრკოლებელი გარემოებები.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების უფლების რეალიზება პირდაპირ არის დაკავშირებული ხარისხიანი და უწყვეტი ინკლუზიური განათლების მიწოდებასთან.

გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“³ (UNCRPD) 24-ე მუხლი განათლების უფლების რეალიზებას ეხება და ადგენს, რომ სახელმწიფოები ყველა ზომას მიმართავენ იმისათვის, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა განათლების უფლებით დისკრიმინაციის გარეშე და თანაბარ პირობებში ისარგებლონ. ამასთან, მონაწილე სახელმწიფოები პასუხისმგებლები არიან როგორც ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვაზე, ისე მთელი ცხოვრების განმავლობაში მისაწვდომობაზე.

საქართველო ასევე აღიარებს UNESCO-ს სალამანკას დეკლარაციას „ინკლუზიური განათლების შესახებ“.⁴ აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ყველა ბავშვს, მათ შორის განათლების სფეროში დროებითი ან მუდმივი დახმარების საჭიროების მქონე ბავშვს, უფლება აქვს ისწავლოს სასკოლო დაწესებულებაში. ყველა ბავშვს აქვს უფლება

¹კონვენციის 33-ე მუხლით გათვალისწინებულია სახელმწიფოს ვალდებულება დაასახელოს ერთი ან რამდენიმე დამოუკიდებელი მექანიზმი კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგისთვის. 2014 წლის 27 ოქტომბერს, პრემიერ-მინისტრთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო საბჭოს №6 სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, აღნიშნულ მექანიზმად საქართველოს სახალხო დამცველი დასახელდა. მექანიზმის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე; <<http://www.ombudsman.ge/ge/specializirebuli-centrebi/shshm-pirebis-uflebata-dacvis-departamenti>>.

² იგულისხმება ინკლუზიური განათლების საპილოტე საჯარო სკოლები.

³გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“. კონვენცია მიღებულ იქნა 2006 წლის 13 დეკემბერს. საქართველოში ძალაშია 2014 წლის 12 აპრილიდან. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე :<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289?publication=0>>.

⁴ დეკლარაცია მიღებულია იუნესკოს მსოფლიო კონფერენციაზე (განათლების განსაკუთრებული საჭიროებანი, ხელმისაწვდომობა და ხარისხი), ესპანეთში. დოკუმენტი თავდაპირველად გამოიცა 1994 წელს, საბოლოო ანგარიში კი გამოიცა 1995 წელს.

ისწავლოს ინკლუზიურ გარემოში და მონაწილეობა მიიღოს მასზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროცესში, რათა დაკმაყოფილდეს მისი ინდივიდუალური საჭიროებები.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით⁵ ინკლუზიური განათლება შემდეგნაირად არის განმარტებული: „თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება“. ამავე კანონის 33-ე მუხლი⁶ სხვა საკითხებთან ერთად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულებად განსაზღვრავს ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის პირობების შექმნას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახალხო დამცველის აპარატმა 2018 წლის ნოემბერსა და დეკემბერში სპეციალისტებთან⁷ ერთად განახორციელა მონიტორინგი 15 საპილოტე საჯარო სკოლაში.⁸ მონიტორინგმა გამოავლინა, რომ გამოწვევას წარმოადგენს ინკლუზიური განათლების დანერგვისთვის ერთიანი ხედვის, მულტიდისციპლინური და ინდივიდუალური მიდგომის არარსებობა, მოსწავლეების (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე) ძალადობისგან დაცვის ეფექტური მექანიზმების დანერგვა, სკოლების სათანადო ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა. მონიტორინგმა ასევე ცხადყო, რომ საჭიროა სკოლაში დასაქმებული პირების და მშობლების ცნობიერების ამაღლება როგორც ინკლუზიურ განათლებასთან, ისე სსსმ (შშმ) მოსწავლეების საჭიროებებთან დაკავშირებით.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

ანგარიშის შემუშავებისას გამოყენებულ იქნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის მიერ 2018 წელს შემუშავებული მეთოდოლოგია და

⁵ საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“. მე-2 მუხლის უ) პუნქტი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=76>> ბოლოს ნანახია [14.03.2019].

⁶ იქვე. 33-ე მუხლის პირველი პუნქტის ზ) ქვეპუნქტი.

⁷ სპეციალური მასწავლებელი და ფსიქოლოგი.

⁸ მონიტორინგი ჩატარდა შემდეგ საჯარო სკოლებში: ხაშურის №2 საჯარო სკოლა, ახალციხის №5 საჯარო სკოლა, თელავის №7 საჯარო სკოლა, რუსთავის №28 საჯარო სკოლა, ზესტაფონის №4 საჯარო სკოლა, ონის №1 საჯარო სკოლა, ჩოხატაურის სკოლა, ქობულეთის №3 საჯარო სკოლა, ზუგდიდის №5 საჯარო სკოლა, მცხეთის №1 საჯარო სკოლა, თბილისის №60 საჯარო სკოლა, თბილისის №180 საჯარო სკოლა, თბილისის №10 საჯარო სკოლა, თბილისის №181 საჯარო სკოლა, თბილისის №160 საჯარო სკოლა.

ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლით.

კვლევის მიზნებისთვის გაანალიზდა საერთაშორისო დოკუმენტები და ეროვნული კანონმდებლობა. ამასთან, გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია სახელმწიფო უწყებებიდან და საჯარო სკოლებიდან. ვითარების ადგილზე გასაცნობად განხორციელდა 15 ვიზიტი ინკლუზიური განათლების საპილოტე საჯარო სკოლებში.

საჯარო სკოლებში ჩატარებული მონიტორინგის მიგნებების გადასამოწმებლად/გარკვეული საკითხების დასაზუსტებლად, 2019 წლის 22 იანვარს, სახალხო დამცველის ოფისში გაიმართა ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან.

რაც შეეხება მონიტორინგის მეთოდოლოგიას, დასახელებული დოკუმენტი შემუშავდა: გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“⁹, „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის დადგენილების,¹⁰ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის,¹¹ „2018-2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის“¹², ინკლუზიური განათლების გზამკვლევის,¹³ „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2018 წლის 11 თებერვლის ბრძანების,¹⁴ „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №437 დადგენილების,¹⁵ „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს

⁹ გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289?publication=0>>.

¹⁰ დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/11098>> ბოლოს ნანახია [14.03.2019].

¹¹ დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248>> ბოლოს ნანახია [14.03.2019].

¹² დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3285991?publication=7>>.

¹³ დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<http://inclusion.ge/res/docs/2015042416391383051.pdf>>.

¹⁴ დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4007539>> ბოლოს ნანახია: [15.03.2019].

¹⁵ დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3394478>> ბოლოს ნანახია: [15.03.2019].

მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის დადგენილების,¹⁶ „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანების,¹⁷ „მოსწავლის პირადი საქმის ფორმისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესის“¹⁸ და სხვა დოკუმენტების¹⁹ საფუძველზე.

საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურა და საგანმანათლებლო რესურსები

საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების ჯეროვნად დანერგვის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა სკოლების გამართული ინფრასტრუქტურა, ფიზიკური გარემო და რესურსების მისაწვდომობის უზრუნველყოფაა. ამ მიზნით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში ფუნქციონირებს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომლის მისიაა საქართველოს განათლების სისტემაში საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება.²⁰ სააგენტო ინფრასტრუქტურის განვითარების ყოველწლიური გეგმის შესაბამისად ახორციელებს საჯარო სკოლების რეაბილიტაციასა და მშენებლობას. ამასთან, 2018 და 2019 წლების დასაწყისში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და საქართველოს მუნიციპალიტეტებს (გარდა თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული მუნიციპალიტეტებისა) შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფოს მიერ გარკვეული უფლებამოსილებები დელეგირებულია მუნიციპალიტეტებისთვის, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ

¹⁶ დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2982289>>

¹⁷ დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2995627?publication=7>> ბოლოს ნანახია: [15.03.2019].

¹⁸ დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1995349?publication=0>> ბოლოს ნანახია: [18.03.2019].

¹⁹ არასამთავრობო ორგანიზაციების და აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული მონიტორინგის ანგარიშები.

²⁰ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბერის ბრძანება №225/ნ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს რეორგანიზაციისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1548252?publication=7>> [ბოლოს ნანახია: 06.07.2019].

საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროექტების განხორციელება.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ზოგადი განათლების საფეხურზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად კვლავ რჩება სკოლების მოძველებული და გაუმართავი ინფრასტრუქტურა, რომელიც უმეტესად ვერ აკმაყოფილებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომობის სტანდარტებს. სამინისტროს ცნობით,²¹ საქართველოს მასშტაბით მოქმედი 2084 საჯარო სკოლიდან მხოლოდ 120-მდე საჯარო სკოლის შენობაა სრულად ადაპტირებული, ხოლო 690-მდე - ნაწილობრივ ადაპტირებული.²²

მნიშვნელოვანი გამოწვევაა საჯარო სკოლებში წყლისა და სანიტარიული ნორმების კუთხით არსებული მდგომარეობაც. პრობლემურია წყლის ხელმისაწვდომობა, გამართული საპირფარეშოებისა და წყალმომარების ობიექტების ფუნქციონირება. 2018 წელს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სკოლებში წყლისა და სანიტარიის უფლების კუთხით არსებული მდგომარეობის მონიტორინგი ჩაატარა. მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ საჯარო სკოლების ფიზიკური მოწყობა და სანიტარიული მდგომარეობა ნაკლებად არის ორიენტირებული მოსწავლეთა თუ სკოლაში დასაქმებული პერსონალის საჭიროებებზე. შემოწმებული 108 საჯარო სკოლიდან, 71.3%-ში რეგულარულად არ ხორციელდება წყლის უვნებლობის ლაბორატორიული კვლევა. სკოლების მხოლოდ 44.4%-ში ჰქონდათ ხელსაბანი საპონი, 26.9%-ში - ხელსაწმენდი, ხოლო წყალჩამრეცხი სისტემა სკოლების მხოლოდ 25.9%-ში ფუნქციონირებდა.²³

ზემოთ აღწერილ ზოგად სურათს შეესაბამება 2018 წელს ინკლუზიური განათლების საპილოტე სკოლებში განხორციელებული ვიზიტების შედეგებიც. მონიტორინგმა დაადასტურა, რომ შემოწმებული სკოლების ინფრასტრუქტურა უმეტესად მოსაწესრიგებელია და ვერ აკმაყოფილებს მისაწვდომობის სტანდარტებს. ყველა სკოლას შესასვლელში დამონტაჟებული აქვს პანდუსი, თუმცა ზოგიერთი მათგანი საჭიროებს განახლებასა და კეთილმოწყობას. გამოვლინდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სკოლის შესასვლელში დამონტაჟებულ პანდუსამდე მისვლა მხოლოდ კიბეების გამოყენებით იყო შესაძლებელი,²⁴ რაც ეტლით მოსარგებლე მოსწავლისთვის დაუძლეველ სირთულეს

²¹ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 1 მარტის კორესპონდენცია - MES 0 19 00252480.

²² მონაცემებში არ არის ასახული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და აფხაზეთის საჯარო სკოლები. ამასთან, არის თუ არა დასახელებული სკოლები სრულად ან ნაწილობრივ ადაპტირებული, ექსპერტულ შეფასებას საჭიროებს.

²³ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წელი. გვ. 254. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<http://www.ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf>> [ბოლოს ნანახია: 06.05.2019].

²⁴ მცხეთის №1 საჯარო სკოლა.

ქმნიდა, ან სკოლის ეზოს მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურის გამო, შენობამდე ეტლით გადაადგილება საფრთხის შემცველი იყო.²⁵

სკოლებში განსაკუთრებით პრობლემურია შენობების შიდა ინფრასტრუქტურის მისაწვდომობა. არცერთ სკოლაში, გარდა თბილისის №10 საჯარო სკოლისა, არ არის დამონტაჟებული ლიფტი, რაც მობილობის შეზღუდვის მქონე მოსწავლეების სართულებს შორის დამოუკიდებლად გადაადგილებას შეუძლებელს ხდის. შესაბამისად, ეტლით მოსარგებლე მოსწავლეთა საკლასო ოთახები განლაგებულია შენობების პირველ სართულზე, ხოლო მაღალ სართულებზე არსებულ სხვადასხვა დანიშნულების ოთახებზე/კაბინეტებზე, მათ შორის, ბიბლიოთეკაზე, ასეთ მოსწავლეებს ხელი არ მიუწვდებათ. ამასთან, საკლასო ოთახების შესასვლელებში არსებული ზღურბლები დამატებით ბარიერებს ქმნის ეტლით დამოუკიდებლად გადაადგილებისთვის.

მისაწვდომობისა და სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს უმეტესად ვერ აკმაყოფილებს სკოლების სველი წერტილები. ზოგიერთ სკოლაში, არცერთი საპირფარეშო არ არის ადაპტირებული შშმ მოსწავლეებისთვის.²⁶ ასევე პრობლემურია სკოლების სველი წერტილების ცხელი წყლითა და ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა.²⁷

ხშირ შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაცია აცხადებდა, რომ არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემების მოსაგვარებლად სათანადო მხარდაჭერას ვერც სამინისტროსგან და ვერც ადგილობრივი თვითმმართველობიდან ვერ იღებდა.

გამოწვევად რჩება სწავლების პროცესში ადაპტირებული სასწავლო მასალების, დამხმარე რესურსებისა და სახელმძღვანელოების გამოყენება, ასევე, ბიბლიოთეკების განახლება/აღჭურვა მისაწვდომი სახელმძღვანელოებითა და დამხმარე მასალებით (ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი წიგნები, აუდიო წიგნები, გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე მოსწავლეთათვის ადაპტირებული მასალები და სხვ.). პრობლემურია სკოლების სენსორული კომპიუტერებით²⁸ აღჭურვა.

მონიტორინგის დროს ასევე გამოვლინდა, რომ სსსმ მოსწავლეების სწავლების მეთოდებთან დაკავშირებული სახელმძღვანელოები არ არის პრაქტიკული. სკოლებისთვის სირთულეს წარმოადგენს სასკოლო სახელმძღვანელოების შესაბამისი განმავითარებელი მასალების მოძიებაც.

²⁵ ზუგდიდის №5 საჯარო სკოლა.

²⁶ მაგალითად სსიპ ქალაქ რუსთავის №28 საჯარო სკოლა, მცხეთის №1 საჯარო სკოლა, ჩოხატაურის №1 საჯარო სკოლა.

²⁷ ქაღალდი, ხელსაწმენდი, საპონი.

²⁸ კომპიუტერები, რომლებიც უზრუნველყოფილია უსინათლო მოსწავლეთათვის საჭირო პროგრამებით (ხმოვანი სინთეზატორი).

რესურს-ოთახი

1.1 რესურს-ოთახების მოწყობა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების²⁹ თანახმად, რესურს-ოთახი არის „სკოლაში არსებული სივრცე, რომელიც ხელმისაწვდომია მასწავლებლების, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტებისათვის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის და აღჭურვილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებიდან გამომდინარე აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რომელსაც განსაზღვრავს სკოლა და/ან სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდი“.

სკოლების მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ რესურს-ოთახები სათანადოდ ფუნქციონირებდა ყველა საჯარო სკოლაში, გარდა ზესტაფონის №4 საჯარო სკოლისა და რუსთავის №28 საჯარო სკოლისა. კერძოდ, ზესტაფონის №4 საჯარო სკოლაში რესურს-ოთახი ჩვეულებრივი საკლასო ოთახის ფუნქციას ასრულებდა,³⁰ ხოლო რუსთავის №28 საჯარო სკოლაში, მიუხედავად სახალხო დამცველის მიერ 2017 წელს გაცემული რეკომენდაციისა,³¹ ერთ-ერთი რესურს-ოთახი დაკავებული ჰქონდა საუბნო საარჩევნო კომისიას. ზოგიერთ სკოლაში, რესურს-ოთახი განთავსებული იყო მეორე სართულზე, სკოლას კი არ ჰქონდა ლიფტი, რის გამოც, ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისთვის პრობლემას წარმოადგენდა რესურს-ოთახით სარგებლობა.³²

²⁹ „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარების და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანება. I თავის, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის კ) ქვეპუნქტი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4007539?publication=0>> ბოლოს ნანახია [11.03.2019].

³⁰ აღნიშნული განაპირობა იმ ფაქტმა, რომ №4 საჯარო სკოლა დროებით გაერთიანებული იყო №6 საჯარო სკოლასთან, ამ უკანასკნელში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო. შექმნილმა ვითარებამ, თავის მხრივ, საკლასო ოთახების დეფიციტი წარმოშვა.

³¹ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია „საჯარო სკოლების რესურს-ოთახების საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენების პრაქტიკის აღმოფხვრის შესახებ.“ დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/rekomendaciebi/rekomendacia-sadjaro-skolebis-resurs-otaxebis-saarchevno-miznebisvis-gamoyenebis-praqtikis-agmofxvris-shesaxebe.page>>.

³² ხაშურის №2 საჯარო სკოლაში რესურს-ოთახი განთავსებული იყო მხოლოდ მეორე სართულზე. მეორე სართულზე იყო რესურს-ოთახი განთავსებული თბილისის №181 საჯარო სკოლაშიც, თუმცა აქ ეტლით მოსარგებლე მოსწავლეები არ ირიცხებოდნენ. თბილისის №180 საჯარო

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლების უფლებამოსილ პირებს უჭირდათ კონკრეტულ რეკომენდაციებზე მითითება, რომლებითაც ხელმძღვანელობდნენ რესურს-ოთახის მოწყობის პროცესში. ძირითად შემთხვევებში, რესურს-ოთახების სივრცე დაყოფილი იყო რამდენიმე ზონად: სამეცადინო, მოსასვენებელი ზონა და განმავითარებელი რესურსების კუთხე. მათი უმრავლესობა ადჭურვილი იყო ადაპტირებული ავეჯით (მაგიდა, სავარძელი, სკამი) და კომპიუტერით. თუმცა, სხვა ტექნიკური საშუალებებითა და დამხმარე ტექნოლოგიური სასწავლო მასალებით უზრუნველყოფის კუთხით, იყო გარკვეული პრობლემები. კერძოდ, მონიტორინგის დროს რესურს-ოთახების უმეტესობაში არ აღმოჩნდა პრინტერი, ხმის ჩამწერები და შემდეგი დამხმარე სასწავლო მასალები: აუდიო წიგნები, ადაპტირებული კალამი, წიგნის სამაგრი. რაც შეეხება სასწავლო მასალებს და განმავითარებელ რესურსებს, სკოლებში ძირითადად წარმოდგენილი იყო მასწავლებლის სახლის მიერ მიწოდებული განმავითარებელი სავარჯიშოების კრებულები (მასწავლებლისა და მოსწავლისთვის), ასაწყობი ფაზლები, კუბები, დაფა, დასურათებული წიგნები, ლოტო, მოზაიკის დაფა, რიცხვები და ანბანის ასოები.

ნეგატიურად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ გამოკვეთილი საჭიროების მიუხედავად, რესურს-ოთახების უმრავლესობაში სათანადო რაოდენობით არ იყო წარმოდგენილი ისეთი რესურსები, როგორებიცაა: ფერადი ფურცლები, ფანქრები, ფლომასტერები, აკვარელი, გუაში, პლასტილინი, კინეტიკური ქვიშა და ხმოვანი სათამაშოები.

1.2 რესურს-ოთახებში მუშაობა

„ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების 23-ე მუხლის ა) პუნქტის თანახმად,³³ სპეციალური მასწავლებელი წინასწარ განსაზღვრული განრიგით, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობს

სკოლაში იყო ორი რესურს-ოთახი, ერთი პირველ, ხოლო მეორე, მეორე სართულზე. ეტლით მოსარგებლე მოსწავლეები ძირითადად პირველ სართულზე განთავსებული რესურს-ოთახით სარგებლობდნენ. მსგავსი ვითარება იყო რუსთავის №28 საჯარო სკოლაშიც, თუმცა აქ ეტლით მოსარგებლე მოსწავლეები შინ სწავლებაზე იყვნენ.

³³„ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანება. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4007539?publication=0>> . ბოლოს ნანახია [11.03.2019].

ინდივიდუალურად, მათ შორის, რესურს-ოთახში და ქმნის საგანმანათლებლო რესურსებს.

სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი³⁴ არეგულირებს სპეციალური მასწავლებლის უნარ-ჩვევებთან, ფუნქცია-მოვალეობებთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის, სათანადო სასწავლო გარემოს, უზრუნველყოფის ხელშეწყობის კუთხით. ამასთან, დასახელებული სტანდარტი³⁵ სპეციალურ მასწავლებელს ავალდებულებს, საჭიროების შემთხვევაში დაესწროს გაკვეთილს, განუმარტოს სსსმ მოსწავლეს მასწავლებლის ინსტრუქციები და დაეხმაროს მას დავალების შესრულებაში.

მიუხედავად ბრძანებით დადგენილი მოთხოვნისა, სკოლების უმეტესობას არ ჰქონდა გაწერილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან რესურს-ოთახში მუშაობის განრიგი.³⁶ შესაბამისად, სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა ძირითადად დაუგეგმავად მიმდინარეობდა, რაც, თავის მხრივ, აბრკოლებდა სასწავლო პროცესს. მონიტორინგმა გამოავლინა, რომ მხოლოდ სამ სკოლაში³⁷ ჰქონდათ ინკლუზიური განათლების სპეციალისტებს სსსმ მოსწავლის ინტერვენციის გეგმა შედგენილი.³⁸ ამასთან, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები მეტ დროს უთმობდნენ სსსმ მოსწავლეებთან რესურს-ოთახში მუშაობას და ნაკლებად ესწრებოდნენ საგაკვეთილო პროცესს. საგაკვეთილო პროცესზე დასწრებისა და სათანადო მხარდაჭერის გაწევის საჭიროება განსაკუთრებით გამოიკვეთა აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეებთან მიმართებით. რიგ შემთხვევებში, ამ ფუნქციების შეთავსება მშობლებს უწევდათ. გაკვეთილებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ იმ სკოლებში, სადაც სპეციალური მასწავლებლები

³⁴ „სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი“. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/specialuri%20maswavleblis%20standarti.pdf>.

³⁵ „სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი“, 55-ე მუხლის მე-5 ნაწილის (თანამშრომლობა) ე) პუნქტი.

³⁶ აღნიშნული ვალდებულება გათვალისწინებულია „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებით. თავი V. მუხლი 23. პუნქტი ა). ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4007539?publication=0> . ბოლოს ნანახია 11.03.2019.

³⁷ თბილისის №10 საჯარო სკოლა; თბილისის №160 საჯარო სკოლა; ხაშურის №2 საჯარო სკოლა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულ სკოლებში გეგმაში დასახული მიზნები მხოლოდ აკადემიურ უნარებს ეხებოდა და კოგნიტურ ან ფუნქციურ უნარებს არ მოიცავდა. ინტერვიუსა და შესრულებული სავარჯიშოების შედეგად გამოიკვეთა, რომ სპეციალისტები მუშაობდნენ კოგნიტური უნარების განვითარებაზე, თუმცა ეს გეგმის სახით არ იყო გაწერილი.

³⁸ იგულისხმება რესურს-ოთახში სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გეგმა. აღნიშნული გამომდინარეობს „სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის“ 55-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან. მუხლი 55. თავი 4. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/specialuri%20maswavleblis%20standarti.pdf>.

მოსწავლეებს ინდივიდუალურად ეხმარებოდნენ, მათი როლი უმეტესად პასიური იყო და საგნის მასწავლებლის ნაცვლად ინსტრუქციებისა და დავალებების მიცემით შემოიფარგლებოდა.

მონიტორინგმა ასევე გამოკვეთა ტენდენცია, რომ სსსმ მოსწავლეები სკოლაში უმეტეს დროს რესურს-ოთახში ატარებენ, რაც ხელს უშლის სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად ჩართულობას. ჩოხატაურის №1 საჯარო სკოლაში მოსწავლეები მონაცვლეობით, ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მიერ წინასწარ განსაზღვრული განრიგის მიხედვით დადიოდნენ: კვირაში სამჯერ ან ოთხჯერ.³⁹ ამ მოსწავლეებიდან მხოლოდ ერთს ჰქონდა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განსაზღვრული ინდივიდუალური დასწრების განრიგი.⁴⁰

რაც შეეხება რესურს-ოთახში სსსმ მოსწავლეების უნარების განვითარებაზე მუშაობის სიხშირეს, ძირითად შემთხვევებში გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა გარემო ფაქტორებიდან და არა სსსმ მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე. სსსმ მოსწავლეები რესურს-ოთახით უმეტესად კვირაში 2-ჯერ სარგებლობდნენ. ერთ-ერთ სკოლაში,⁴¹ ინკლუზიური განათლების სპეციალისტების თქმით, სსსმ მოსწავლეებთან რესურს-ოთახში მხოლოდ მე-6 კლასის ჩათვლით მუშაობდნენ. ამის მიუხედავად სკოლაში მოსწავლეთა დიდი რაოდენობა და სპეციალისტთა სიმცირე დასახელდა.

მიუხედავად სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გაწერილი მოთხოვნებისა,⁴² სპეციალური მასწავლებლები ძირითადად არ ახდენდნენ მასალის ადაპტირებას სენსორული დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის. ამასთან, არ იყენებდნენ სპეციალურ ბარათებს მეტყველების დარღვევის მქონე მოსწავლეებთან, რომლებიც მოსწავლეებს საკუთარი სურვილების გამოხატვაში დაეხმარებოდა.

³⁹სპეციალისტების განმარტებით, სკოლაში ირიცხებიან აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეები, რომელთაც სჭირდებათ ინდივიდუალური ასისტირება, ამ ფუნქციას ასრულებენ სპეციალური მასწავლებლები. მათი თქმით, ისინი ყოველდღიურად ვერ აკმაყოფილებენ მათ ამ საჭიროებას (ამ სკოლაში ინკლუზიური განათლების სამი სპეციალისტი მუშაობდა) და აქედან გამომდინარე მიიღეს აღნიშნული გადაწყვეტილება.

⁴⁰აღნიშნული ვალდებულება გათვალისწინებულია „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებით. თავი III. მუხლი 10. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4007539?publication=0>>.

⁴¹ თბილისის №60 საჯარო სკოლა.

⁴² „სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი“. მუხლი 55. პირველი ნაწილის დ), ე) და ვ) პუნქტები. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/specialuri%20maswavleblis%20standarti.pdf>.

ინკლუზიური განათლების სპეციალისტები უმეტეს შემთხვევებში არ ფლობდნენ ინფორმაციას კომუნიკაციის დამხმარე და ალტერნატიული ტექნოლოგიების შესახებ.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების იდენტიფიცირება/შეფასება

„ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების III თავის მე-6 მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ საგნის მასწავლებელი/კლასის დამრიგებელი მიიჩნევს, რომ მოსწავლეს თანატოლებთან შედარებით აქვს სიმძიმე სწავლაში და მისთვის საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება, საგნის მასწავლებელი/კლასის დამრიგებელი ვალდებულია, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მოსწავლის კლასის დამრიგებელს (საგნის მასწავლებლის შემთხვევაში) და ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ შესაბამის სპეციალისტებს, ასევე სკოლის დირექციას.

ბრძანებით გათვალისწინებული სათანადო წინაპირობების არსებობისას, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული შესაბამისი სპეციალისტები საგნის მასწავლებლებთან/კლასის დამრიგებელთან ერთად, მიმართვის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, აფასებენ მოსწავლის მოტორულ, კოგნიტურ, ფსიქოემოციურ, აკადემიურ, კომუნიკაციურ, სოციალურ, ქცევით, ფუნქციურ უნარებს და მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით შეიმუშავენ რეკომენდაციებს მასწავლებლის/მასწავლებლების, კლასის დამრიგებლის, სკოლის დირექციისა და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისათვის წარსადგენად.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გამოხატული აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულე და სკოლის მიერ სირთულის პირველადი მართვის მიზნით გათვალისწინებული ზომების მიღების მიუხედავად, ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს 1-დან 2 თვის განმავლობაში, კლასის დამრიგებელი/მასწავლებელი/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული შესაბამისი სპეციალისტები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სკოლის დირექტორს, მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მოთხოვნით. ამ შემთხვევაში

სკოლა აწვდის მშობელს საჭირო ინფორმაციას⁴³ და მისგან იღებს წერილობით თანხმობას მისი შვილის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მიზნით.

მონიტორინგმა გამოკვეთა სისტემური პრობლემა, რომელიც აბრკოლებს სსსმ მოსწავლეების ჭეშმარიტი ინტერესების დაცვას. როგორც უკვე აღინიშნა, მოქმედი კანონმდებლობით, მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროების შესაფასებლად, აუცილებელია კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. მაშინ, როდესაც სკოლა ვერ იღებს მშობლისგან წერილობით თანხმობას, მშობელი განცხადებით ადასტურებს, რომ თავად იღებს პასუხისმგებლობას სწავლის შედეგებზე. მიუხედავად ამისა, როდესაც გარკვეული პერიოდის შემდგომ კვლავ ვლინდება ბავშვის შეფასების საჭიროება და სკოლის მიერ მშობლისგან განმეორებითი თანხმობის მიღების მიზნით მიღებული ზომების მიუხედავად, ეს უკანასკნელი მაინც უარს აცხადებს მოსწავლის შეფასებაზე, სკოლას არ რჩება სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდისთვის მიმართვის ბერკეტი. მონიტორინგის დროს გამოიკვეთა არაერთი შემთხვევა, როდესაც მშობლის წინააღმდეგობა ან მის მიერ თანხმობის გვიან გამოხატვა გახდა მოსწავლის განვითარებისთვის შემაფერხებელი გარემოება. აღნიშნული საკითხი ერთ-ერთ პრობლემად დასახელდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებთან გამართულ ფოკუს-ჯგუფის შეხვედრაზეც.

უნდა აღინიშნოს, რომ სამიზნე სკოლებში, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები პირველადი მართვის მიზნით არ ატარებდნენ შესაბამის ღონისძიებებს და სკოლა პირდაპირ მიმართავდა მულტიდისციპლინურ გუნდს შეფასებისათვის.

ვიზიტების დროს გამოვლინდა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შემეცნებითი და აკადემიური უნარების შეფასება სკოლებში ხდება ძირითადად სპეციალური მასწავლებლის/ფსიქოლოგის მიერ.⁴⁴ ინკლუზიური განათლების სპეციალისტები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა შეფასებისას იყენებენ გაკვეთილზე დაკვირვების მეთოდს და მშობლებთან/ადმინისტრატორებთან ინტერვიუს, თუმცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მათ ვერ წარმოადგინეს. როგორც გაირკვა, ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისთვის უმეტესად მიუწვდომელია უნარების შესაფასებელი

⁴³მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისთვის გათვალისწინებულია შემდეგი ინფორმაციის მიწოდება: მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სიძნელეების აღწერა და დასაბუთება; იმ ზომებს აღწერა, რომლებიც სკოლამ მიიღო მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სიძნელეების მართვის მიზნით, მაგრამ არ აღმოჩნდა საკმარისი.

⁴⁴სპეციალური მასწავლებლის სტანდარტი, მე-2 ნაწილი (შეფასება). ინფორმაცია ხელმისაწვდომია http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/specialuri%20maswavleblis%20standarti.pdf.

ფსიქოლოგიური ტესტები. რამდენიმე სკოლაში, შეფასებისას იყენებენ კრიტერიუმებს, რომლებიც მათ გადასცეს მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებული ტრენინგის ფარგლებში,⁴⁵ ასევე მასალებს სხვადასხვა უნარის შესაფასებლად. ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ ინკლუზიური განათლების სპეციალისტები აკადემიური უნარების შეფასების კუთხით უფრო კომპეტენტურები არიან, ვიდრე შემეცნებითი უნარების.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ რამდენიმე სკოლაში მოსწავლეთა შეფასება იყო მთლიანობით,⁴⁶ აღწერითი და ზუსტი. სკოლათა უმრავლესობაში შეფასება თითოეული სფეროს მიხედვით არ იყო სიღრმისეული და კონკრეტული. აღნიშნული, დიდი ალბათობით შემდგომ ეტაპზე ხელს შეუშლის მოსწავლის შესაძლებლობაზე მორგებული მიზნების შერჩევას. ვიზიტების დროს გამოვლინდა, რომ ზოგიერთ სკოლაში არ იყო მიმდინარე შეფასებები და გადმოტანილი იყო წინა წლების შეფასებებები. ერთ-ერთი სკოლის⁴⁷ სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ ეყრდნობოდნენ მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებას, რომელიც, თავის მხრივ, 3-4 წლის წინ იყო გაკეთებული.

ნეგატიურად უნდა შეფასდეს მასწავლებელთა გარკვეული ნაწილის მიერ შეფასებისას ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის გაუთვალისწინებლობა.⁴⁸ ისინი შედარებას აკეთებდნენ სხვა მოსწავლეთა მიღწევებზე/ქულებზე და არა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან მიმართებით კონკრეტული სსსმ მოსწავლის მიღწევებზე. მასწავლებელთა გარკვეულ ნაწილს აქვს სტიგმის შემცველი დამოკიდებულება, რაც მდგომარეობს იმაში, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე არ შეიძლება შეფასდეს მაღალი ქულით.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1.1 სსსმ მოსწავლის პირადი საქმის წარმოება

„მოსწავლის პირადი საქმის ფორმისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესის“⁴⁹ თანახმად, სსსმ მოსწავლის პირად საქმეს

⁴⁵მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ტრენინგი - „სპეციალური მასწავლებლის პროფესიული განვითარების შესავალი კურსი“.

⁴⁶მოსწავლეები შეფასებულნი იყვნენ განვითარების ყველა სფეროს მიხედვით.

⁴⁷ თბილისის №10 საჯარო სკოლა.

⁴⁸ეროვნული სასწავლო გეგმა, თავი VIII, მუხლი 43.

⁴⁹საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს N 133/5 ბრძნება. დანართი 1. მუხლი 3. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1995349?publication=0>> ბოლოს ნანახია: [18.03.2019].

თან ერთვის: მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ისე ჯგუფის ყველა შეხვედრაზე წარმოებული სხდომის ოქმები და სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობები. ამავე წესის თანახმად,⁵⁰ მოსწავლის პირადი საქმის სკოლაში შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი ან სკოლის დირექტორის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი.

სკოლებში, პირადი საქმეების წარმოების კუთხით, გარკვეული ხარვეზები გამოიკვეთა. კერძოდ, რამდენიმე სკოლაში არ იყო ყველა სსსმ მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობები.⁵¹ ამასთან, პირად საქმეებში არ იყო სრულად ასახული ინფორმაცია სკოლაში სწავლის განმავლობაში მოსწავლის შეფასების, აქტიურობისა და ჩატარებული სამუშაოს შესახებ, აღნიშნული კი შეუძლებელს ხდის დინამიკის შეფასებას. უმეტეს შემთხვევებში ინდივიდუალური გეგმები არ ინახებოდა პირად საქმეებში. არამედ, ისინი აკინძული სახით იყო რესურს-ოთახში ან დირექტორთან.⁵² ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის, საგნობრივი შეფასების და ისე ჯგუფის შეხვედრის ოქმების ფორმებს თან ახლავს ხელმოწერების გრაფა, ისინი უმეტესად ხელმოწერით დადასტურების გარეშე ან ელექტრონული სახით იწარმოებოდა.⁵³ დირექტორებისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების გადმოცემით, მათ არ აქვთ დეტალური ინფორმაცია, თუ რა დოკუმენტაციას უნდა მოიცავდეს სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რის გამოც ვერ უწევენ აღნიშნულ პროცესს მონიტორინგს.

1.2 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლის ადმინისტრაციის ბრძანებით თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისე) ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას.⁵⁴ სკოლის ისე ჯგუფი შედგება შემდეგი წევრებისაგან: ა) სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი; ბ) საგნის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს; გ) სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები; დ) სსსმ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი; ე) საჭიროების შემთხვევაში, მოწვეული სხვა

⁵⁰ იქვე. მუხლი 4.

⁵¹ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) ფორმა.

⁵² აღნიშნულის მიზეზად დასახელდა გეგმების მოცულობა.

⁵³ აღნიშნულის თაობაზე სკოლებმა რეკომენდაცია მიიღეს მულტიდისციპლინური გუნდისგან.

⁵⁴ ეროვნული სასწავლო გეგმა - VIII თავი, 42¹ მუხლის პირველი პუნქტი.

სპეციალისტი.⁵⁵ ისე ჯგუფს უნდა ჰყავდეს კოორდინატორი, რომელიც წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე.⁵⁶ ჯგუფს ხელმძღვანელობს დამრიგებელი. ისე ჯგუფი სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ იკრიბება.⁵⁷

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ზოგიერთ სკოლაში, სსსმ მოსწავლეთა მასწავლებლებისა და მშობელთა გარკვეულს ჯგუფს არ ჰქონდა ინფორმაცია ისე ჯგუფის დანიშნულებისა თუ ფუნქცია-მოვალეობების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ შემოწმების დროს მხოლოდ ერთ სკოლაში⁵⁸ არ იყო ბრძანებით შექმნილი ისე ჯგუფი.⁵⁹ ამასთან, იმ სკოლებში, სადაც იყო ისე ჯგუფები შექმნილი, ჯგუფებში არ შედიოდა ყველა ის მასწავლებელი, რომელიც უშუალოდ ასწავლიდა მოსწავლეს. ამასთან, არცერთ სკოლაში არ ჰყავდათ მოწვეული სპეციალისტი. სკოლათა უმეტესობაში, ჯგუფის კოორდინატორად მითითებული იყო სსსმ მოსწავლის დამრიგებელი, თუმცა, ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ დამრიგებელთა დიდ ნაწილს არ ჰქონდა ინფორმაცია ამის შესახებ. მონიტორინგის დროს მხოლოდ ორ სკოლაში⁶⁰ არ აღმოჩნდა ისე ჯგუფის პირველი სხდომის ამსახველი ოქმები. რამდენიმეგან კი ოქმები წარმოდგენილ იქნა მხოლოდ რამდენიმე სსსმ მოსწავლეზე.

სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვების შედეგად გაირკვა, რომ ინტენსიურად ისე ჯგუფის შეხვედრები მხოლოდ რამდენიმე სკოლაში ტარდებოდა. ეროვნული სასწავლო გეგმა, სასწავლო წლის დასასრულს, ისე ჯგუფის წევრ თითოეულ მასწავლებელს ავალდებულებს შესაბამის საგანში სსსმ მოსწავლის მიღწევების (ცოდნა, უნარ-ჩვევები) შესაბამისობის შეფასებას ისე-თი განსაზღვრულ სასწავლო შედეგებთან და ანგარიშის წარდგენას სკოლის დირექტორისთვის, პედაგოგიური საბჭოსა და მშობლისთვის.⁶¹ თუმცა მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ სკოლათა უმეტესობაში, მშობლები მხოლოდ სიტყვიერ ინფორმაციას იღებენ ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისა და დამრიგებლებისგან და მათი შვილების მიღწევის ანგარიშებს წერილობით ვერ ეცნობიან.

1.3 საგნობრივი შეფასება

⁵⁵ იქვე მე-2 პუნქტი.

⁵⁶ იქვე მე-3 პუნქტი.

⁵⁷ იქვე მე-4 პუნქტი.

⁵⁸ ონის საჯარო სკოლა.

⁵⁹ ადმინისტრაციის თქმით, არ ჰქონდათ ინფორმაცია ბრძანებების საჭიროების შესახებ.

⁶⁰ ჩოხატაურის №1 საჯარო სკოლა და ზესტაფონის №4 საჯარო სკოლა.

⁶¹ იქვე. მე-6 პუნქტი.

მოსწავლის ზოგადი უნარების შეფასების შემდეგ, საჭიროა გაკეთდეს საგნობრივი შეფასება⁶² ყველა საგანში და დასკვნის საფუძველზე განისაზღვროს თითოეული მასწავლებლის მიერ ინდივიდუალური გეგმის შემუშავების საჭიროება კონკრეტულ საგანში.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლათა უმრავლესობაში საგნობრივი შეფასებები გაკეთებული იყო არა ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტთან, არამედ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში ან განხილული იყო მხოლოდ ის შედეგები, რომლებიც წინა წლის ისგ-ში იყო მიზნებად დასახული. უარყოფითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ზოგიერთ სკოლაში საერთოდ არ გაკეთებულა საგნობრივი შეფასება. ნაწილში კი, შეფასებები გაკეთდა მხოლოდ იმ საგნებში, რომლებშიც საჭირო იყო ისგ-ს შედგენა. ამასთან, ისინი არასწორი პრინციპით იყო შევსებული.⁶³

1.4 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა: მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები, აქტივობები

საგნობრივი შეფასების შემდეგ, თუ გამოვლინდება, რომ მოსწავლე ვერ ძლევს კონკრეტული კლასისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მისაღწევი შედეგების მინიმალური კომპეტენციის ზღვარს კონკრეტულ საგანში, აღნიშნული საგნის მასწავლებელი მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავებს,⁶⁴ რომელიც მოიცავს გრძელვადიან მიზნებს, მოკლევადიან მიზნებს, შესაბამის აქტივობებსა და აქტივობების განსახორციელებლად საჭირო რესურსებს. მართალია, არსებობს შესაბამისი ფორმა, რომელიც მოიცავს დასახელებულ კომპონენტებს, თუმცა არ არსებობს ცალკე დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებდა თუ როგორ და ვის მიერ უნდა გაიწეროს იგი, რა კომპონენტების დაცვითა და

⁶² „მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა“ - „მოსწავლის საგნობრივი შეფასება სასწავლო წლის დასაწყისში“. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მე-7 მუხლის ბ) პუნქტის თანახმად, მასწავლებელმა იცის, როგორ გამოიყენოს შეფასების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია და შეუძლია გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმების შედგენა.

⁶³ კერძოდ, ისგ-ს ფორმის მესამე გრაფა, სადაც უნდა მიეთითებინათ „შედეგის მიღწევას არ ადასტურებს შემდეგი ინდიკატორი/ები,“ მთლიანად ცარიელი იყო, თუმცა მოსწავლეთა საჭიროებები კვლავ იკვეთებოდა, რაც შევსების არასწორ პრინციპზე მიუთითებდა.

⁶⁴ „მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა“, ნაწილი „ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.“ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით მასწავლებელს შეუძლია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა და ამ გეგმის მიხედვით სწავლება. მე-7 მუხლის ე) პუნქტი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.tpdg.ge/uploads/pdf_documents/maswavleblis%20profesiuli%20standarti.pdf>.

გათვალისწინებით. ამ მიმართულებით სახელმძღვანელო დოკუმენტია მასწავლებლის გზამკვლევი.⁶⁵

მონიტორინგმა ცხადყო, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები კომპლექსური დარღვევებით იწარმოება და სკოლებში დამკვიდრებული არაერთგვაროვანი პრაქტიკა. მათ შორის, ერთი სკოლის ფარგლებშიც იყო მკვეთრი სხვაობა სხვადასხვა სსსმ მოსწავლის შემთხვევაში. ასევე გამოვლინდა შემთხვევა,⁶⁶ როდესაც ყველა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შედგენილი იყო მხოლოდ ინკლუზიური განათლების კოორდინატორის მიერ და შემდგომ მიწოდებული მასწავლებლებისთვის, რაც მოქმედ რეგულაციებს ეწინააღმდეგება. ერთ-ერთ სკოლაში,⁶⁷ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შესრულებული იყო ძველ ფორმაში, რადგან არ იცნობდნენ ახალ ფორმებს. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ გეგმებში კეთდებოდა მითითება ინდივიდუალური განრიგის საჭიროებაზე, დასწრების ინდივიდუალური განრიგი ყველა სსსმ მოსწავლეზე შევსებული არ იყო. ზოგიერთ შემთხვევაში მონიშნული არ იყო, საჭიროებდა თუ არა სსსმ მოსწავლე გარემოს აკომოდაციას.⁶⁸

სკოლათა უმეტესობაში წარმოებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში არ იყო ასახული ყველა კომპონენტი სრულად, ყველა საგანში.⁶⁹ იმ შემთხვევებში, როდესაც ისგ ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა სპორტის პედაგოგი, საგნობრივი შეფასებები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სპორტში შედგენილი არ იყო.⁷⁰ გეგმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლათა ძირითად ნაწილში, ისგ-თა უმეტესობა არღვევდა მის ძირითად მახასიათებლებს⁷¹ და არ იყო: სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი, რელევანტური და დროში განსაზღვრული.⁷² ისგ-თა ნაწილში, მოსწავლეთა შეფასება არ იყო დეტალური, არამედ იყო ზოგადი ან მწირი.

⁶⁵ ინკლუზიური განათლება - „გზამკვლევი მასწავლებელთათვის“ - 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://ncp.ge/files/inclusion%20education/wignebi/inklusiuri_ganatileba.pdf „ინდივიდუალური სასწავლო გეგმა“ გვ. 28-39.

⁶⁶ ჩოხატაურის №1 საჯარო სკოლა.

⁶⁷ სსიპ ქალაქ თბილისის №160 საჯარო სკოლა.

⁶⁸ მიუხედავად იმისა, რომ შეფასებიდან გამომდინარე, სსსმ მოსწავლეებს ჰქონდათ სხვადასხვა სახის სირთულეები და საჭიროება.

⁶⁹ მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლებმა არ მიაწოდეს ინკლუზიური განათლების სპეციალისტებს შესაბამისი საგნობრივი გეგმა ან ჯერ კიდევ მიმდინარეობდა მუშაობა, რაც ისგ-ს შემქნის დადგენილ ვადებს სცილდებოდა.

⁷⁰ არც საგნობრივი შეფასება იყო გაკეთებული.

⁷¹ ინკლუზიური განათლება - „გზამკვლევი მასწავლებელთათვის“ - 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. „ინდივიდუალური სასწავლო გეგმა“ გვ. 34-35.

⁷² ისგ-ს ამჟამინდელ ფორმას არ აქვს დროის პერიოდის გრაფა, შესაბამისად, ისგ-ში, არსად არის მითითებული, თუ რა დროის განმავლობაში უნდა იქნას მიღწეული მოცემული მიზნები.

ისგ-თა ნაწილში მიზნები სსსმ მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების გაუთვალისწინებლად იყო გაწერილი, რაც, თავის მხრივ, არ იყო რელევანტური და მიღწევადი. აღნიშნული მოსწავლეთა შეფასებებითაც დასტურდება, რომლებშიც მიუხედავად მოსწავლეთა დაბალ აკადემიურ თუ კოგნიტურ უნარებზე მითითებისა, მიზნებად გაწერილი იყო მაღალ სააზროვნო უნარებზე გამსვლელი შედეგები.⁷³ რიგ შემთხვევებში, ერთ გრძელვადიან მიზანზე მხოლოდ ერთი მოკლევადიანი მიზანი იყო მოცემული, რაც თავისთავად არღვევს გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნის მიმართებას. ისგ-ს შედგენისას შესაძლოა საჭირო გახდეს ისგ-ს ადაპტაცია, როგორც თვისობრივი, ისე რაოდენობრივი ცვლილება ან ალტერნატიული/პარალელური სასწავლო მიზნების შემოტანა. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ისგ-ში, რამდენიმე მოსწავლეზე, სხვადასხვა საგანში, მიზნად მხოლოდ ერთი მიმართულება იყო გაწერილი, მაშინ როდესაც მოსწავლეს ჰქონდა შესაძლებლობა ემუშავა სხვა მიმართულებითაც.

მონიტორინგის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლათა უმეტესობაში, მოკლევადიანი მიზნის მისაღწევი აქტივობები, ნაცვლად იმისა, რომ დეტალურად ყოფილიყო აღწერილი, მოკლედ იყო ფორმულირებული ან აქტივობების ნაცვლად მოცემული იყო მიზნები/სწავლების მეთოდები. ზოგჯერ, ერთი მოკლევადიანი მიზნისათვის მოცემული იყო მხოლოდ ერთი აქტივობა. რიგ შემთხვევებში, აქტივობები არ მიემართებოდა მოკლევადიან მიზანს.

იმ შემთხვევაში, როდესაც სსსმ მოსწავლე ვერ აღწევს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, სკოლებში დასაქმებული სპეციალისტები ძირითადად თავად ამარტივებენ მიზნებს. შესაბამისად, მულტიდისციპლინური გუნდისთვის მიმართვისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის აღსრულების მიზნით, სკოლის მიერ გატარებული ზომების ანგარიშის წარდგენის პრაქტიკა დანერგილი არ არის.⁷⁴

1.5 ადაპტირებული გაკვეთილის გეგმა

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის წარმატებით შესასრულებლად აუცილებელია დასახული მიზნების ინტეგრირება საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებელი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას უნდა ითვალისწინებდეს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების

⁷³ მაგალითად: მსჯელობა, ანალიზი, დასკვნის გამოტანა.

⁷⁴ გუნდისთვის მიმართვის ვალდებულება გათვალისწინებულია „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №16/ნ ბრძანების 32-ე მუხლის პირველი პუნქტით.

განვითარებისათვის,⁷⁵ ამისთვის კი, საჭიროა ადაპტირებული გაკვეთილის გეგმის შემუშავება კონკრეტულ საგანში.

მონიტორინგის დროს გამოვლინდა, რომ ზოგიერთი სკოლის საგნის მასწავლებლებმა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტებმა არ იცოდნენ, რას გულისხმობდა ადაპტირებული გაკვეთილის გეგმა. ამასთან, არც მისი შედგენის პრინციპებში იყვნენ გათვითცნობიერებულები.

სკოლათა უმრავლესობაში პასუხისმგებელმა პირებმა ვერ წარმოადგინეს ვერც ძველი და ვერც მიმდინარე ადაპტირებული გაკვეთილის გეგმები.⁷⁶ რამდენიმე სკოლაში⁷⁷ არსებული ადაპტირებული გაკვეთილის გეგმების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მხოლოდ ერთეულმა მასწავლებლებმა იცოდნენ მისი გაწერის სტრუქტურა და გეგმები უმეტესად ხარვეზებით იწარმოებოდა. კერძოდ: შერჩეული მიზნები მოსწავლის საჭიროებებს არ შეესაბამებოდა; არ იყო მითითებული გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები მოსწავლის ისგ-დან და მხოლოდ გაკვეთილის მიზანი იყო მოცემული; ყველა ეტაპზე არ იყო გაწერილი აქტივობები სსსმ მოსწავლისათვის; საშინაო დავალება არ იყო სსსმ მოსწავლისათვის ადაპტირებული; შეფასება ზოგადი იყო - უმეტესად არ იყო დართული შეფასების რუბრიკა სსსმ მოსწავლისათვის; ჯგუფურ დავალებაში მითითებული არ იყო აღნიშნულ ჯგუფში სსსმ მოსწავლის ფუნქცი-მოვალეობა; მითითებული არ იყო კონკრეტული აქტივობის შესრულებისათვის საჭირო დრო; ამასთან, კლასის აქტივობები არ იყო კავშირში სსსმ მოსწავლის აქტივობასთან, რაც ართულებდა კლასთან სსსმ მოსწავლის ინტეგრაციას.

1.6 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი

⁷⁵მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მე-7 მუხლის თანახმად (ბ და გ პუნქტები), მასწავლებელმა იცის სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების მოთხოვნების შესაბამისად. ამ მიზნით, მასწავლებელმა იცის, როგორ გამოიყენოს შეფასების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია და შეუძლია გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმების შედგენა. ამასთან, მან იცის, როგორ დაამყაროს საგანთა შორის კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მისაღწევი შედეგების და პროგრამების თაობაზე.

⁷⁶ სსიპ თბილისის №181 საჯარო სკოლა, სსიპ თბილისის №160 საჯარო სკოლა, სსიპ თბილისის №180 საჯარო სკოლა, სსიპ თელავის №7 საჯარო სკოლა, სსიპ ზესტაფონის №5 საჯარო სკოლა, სსიპ რუსთავის №28 საჯარო სკოლა, ჩოხატაურის №1 საჯარო სკოლა, სსიპ ხაშურის №2 საჯარო სკოლა, ონის საჯარო სკოლა.

⁷⁷სსიპ მცხეთის №1 საჯარო სკოლა, სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის, ქობულეთის №3 საჯარო სკოლა, სსიპ თბილისის №60 საჯარო სკოლა, სსიპ თბილისის №10 საჯარო სკოლა, ახალციხის №5 საჯარო სკოლა, ზუგდიდის №4 საჯარო სკოლა.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ისგ-ს ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ისგ-ს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს სკოლის დირექტორს.⁷⁸

მონიტორინგის დროს მოპოვებული მონაცემებით⁷⁹ აღმოჩნდა, რომ სკოლების უმრავლესობაში დირექტორებს, თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით, გამოცემული ჰქონდათ ბრძანებები სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. ზოგიერთ შემთხვევებში თვითონ სკოლის ადმინისტრაცია იყო ჩართული ისგ-ების მონიტორინგის პროცესში.⁸⁰

ზოგიერთ სკოლაში არ ხდებოდა ისგ ჯგუფის საქმიანობაზე მონიტორინგი და, შესაბამისად, ვიზიტის დროს ვერ იქნა წარმოდგენილი მონიტორინგის ანგარიშები.⁸¹ მიმდინარე სასწავლო წლისთვის მხოლოდ ერთ სკოლას⁸² ჰქონდა განვლილი თვეების მონიტორინგის ამსახველი მონაცემები, თუმცა, აღნიშნული არ იყო შევსებული ყველა სსსმ მოსწავლის შემთხვევაში, ყველა საგანში. რაც შეეხება წინა სასწავლო წელს, ვიზიტებმა ცხადყო, რომ მონიტორინგი არ ტარდებოდა ყველა საგანში, ამასთან, არ იყო კომპლექსური და სრულყოფილი. კერძოდ, რიგ შემთხვევებში შედეგები გადმოცემული იყო მხოლოდ + და - აღნიშვნებით და არა კომენტარების სახით, ზოგ შემთხვევაში კი, ის, თუ რამდენად დაძლია სსსმ მოსწავლემ კონკრეტული მოკლევადიანი მიზნები, მხოლოდ ქულათა მინიჭების სისტემით იყო შეფასებული. დანარჩენ შემთხვევებში, ძირითადად, კომენტარი იყო ძალიან მოკლე, 2-3 წინადადებით გადმოცემული, პირდაპირ იმეორებდა მოკლევადიანი მიზნის ფორმულირებას და არ იყო დეტალური.⁸³

ინკლუზიური განათლების სპეციალისტების ჩართულობა

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი ადამიანური რესურსითა და პროგრამებით/სერვისებით.⁸⁴ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და

⁷⁸ ეროვნული სასწავლო გეგმა, თავი VIII, 42¹ მუხლის პირველი პუნქტი.

⁷⁹ სკოლებში მონიტორინგის დროს სემესტრი არ იყო დასრულებული, შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფი წინა სასწავლო წლის ისგ ჯგუფის მონიტორინგის შედეგებს გაეცნო.

⁸⁰ მაგ. სსიპ რუსთავის №28 საჯარო სკოლა, სსიპ თბილისის №160 საჯარო სკოლა.

⁸¹ მაგ. სსიპ ზესტაფონის №4 საჯარო სკოლა.

⁸² სსიპ თბილისის №60 საჯარო სკოლა.

⁸³ არ იყო მოცემული კონკრეტული მიზნის ფარგლებში, უფრო დეტალურად რა შეუძლია მოსწავლეს ან რაში შეექმნა სირთულეები.

⁸⁴ საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 9. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://matsne.gov.ge/document/view/29248?publication=78>> [ბოლოს ნანახია 07.05.2019].

სპორტის სამინისტრო, საჭიროების შემთხვევაში, გაზრდილი ვაუჩერის ოდენობითა და დამატებითი დაფინანსებით უნდა უზრუნველყოფდეს საჯარო სკოლის მოსწავლეების, დირექციისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის შრომის შესაბამის ანაზღაურებას.⁸⁵

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლებში ხარისხიანი და უწყვეტი ინკლუზიური განათლების დასაწესებლად აუცილებელია ადეკვატური დაფინანსების მექანიზმის არსებობა. „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილება დეტალურად განსაზღვრავს ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის გამოთვლის წესს, გეგმით განსაზღვრული მოსწავლეთა რაოდენობის, საათობრივი დატვირთვის, ადმინისტრაციული და სხვა ხარჯების გათვალისწინებით.⁸⁶

კანონმდებლობით ასევე განსაზღვრულია ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტთა ჩამონათვალი, თითოეული მათგანის შრომითი აღწერილობა⁸⁷ და სპეციალური მოსწავლეების საკვალიფიკაციო მოთხოვნები.⁸⁸

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წლის 29 ივნისს შესული ცვლილებებით, სპეციალური მოსწავლეების სტატუსი სკოლის მოსწავლეების სტატუსს გაუთანაბრდა,⁸⁹ რითაც სპეციალურ მოსწავლეებს საშუალება მიეცა ჩაერთოს მოსწავლეების პროფესიული განვითარების/კარიერული წინსვლის სქემაში და ისარგებლოს სამართლიანი ანაზღაურების მექანიზმით. აღნიშნული დადებითად აისახება როგორც სპეციალური მოსწავლეების მოტივაციაზე, ისე მათ

⁸⁵საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 7. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://matsne.gov.ge/document/view/29248?publication=78>> [ბოლოს ნანახია 07.05.2019].

⁸⁶ „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილება. მუხლი 1. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2982289?publication=4>> ბოლოს ნანახია 08.05.2019.

⁸⁷ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/6 ბრძანება „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“. მუხლი 2. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4007539?publication=0>> ბოლოს ნანახია [07.05.2019].

⁸⁸ საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 21³.

⁸⁹საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 2. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://matsne.gov.ge/document/view/29248?publication=78>> [ბოლოს ნანახია 07.05.2019].

კვალიფიკაციასა და, შესაბამისად, სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვის ხარისხზე.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ ინკლუზიური განათლების ხარისხი სკოლებში განსხვავებულია⁹⁰ და ის მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული კვალიფიციური მასწავლებლების არსებობაზე, საგანმანათლებლო პროცესში ინკლუზიური განათლების სპეციალისტების ჩართულობასა და მათ კვალიფიკაციაზე.

მონიტორინგმა ცხადყო, რომ ინკლუზიური განათლების მიმართულებით გამოყოფილი დაფინანსება საკმარისი არ არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა კომპლექსური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების დასაქირავებლად. აღნიშნული განსაკუთრებით თვალშისაცემია სენსორული შეზღუდვის მქონე მოსწავლეების შემთხვევაში, რადგან მათ განათლების უფლების სრულფასოვანი რეალიზებისთვის სხვადასხვა სპეციალისტის მომსახურება ესაჭიროებათ. მათ შორისაა: ოკუპაციური თერაპევტი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, ჟესტური ენის სპეციალისტი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი. სახალხო დამცველის აპარატის მიერ შემოწმებული 15 საჯარო სკოლიდან მხოლოდ ერთ სკოლაში იყო დასაქმებული 1 მეტყველების თერაპევტი და 1 სსსმ პირის ასისტენტი,⁹¹ მაშინ როდესაც ამგვარი საჭიროება არსებობდა სხვა სკოლების შემთხვევებშიც. უნდა აღინიშნოს, რომ ამის მიზეზად სკოლების უფლებამოსილი წარმომადგენლები მწირი დაფინანსების გარდა, კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტსაც ასახელებენ. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აქტუალურია რეგიონებში.

პრაქტიკაში განსაკუთრებულ გამოწვევად გამოიკვეთა სსსმ მოსწავლეების ფსიქოლოგებთან და ასისტენტებთან უზრუნველყოფის საკითხიც. ფსიქოლოგებისა და სსსმ პირის ასისტენტების დეფიციტი ძირითადად განპირობებულია სკოლებიდან ფსიქოლოგის კადრის გადინებით და სსსმ პირის ასისტენტის პოზიციისთვის განსაზღვრული სამუშაო პირობებით. კერძოდ, ფსიქოლოგის შრომის რეკომენდებული⁹² ანაზღაურება საკმარისი არ არის და მის მიერ შესრულებული სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, ფსიქოლოგს, სპეციალურ მასწავლებელთან მიმართებით,

⁹⁰უმმ მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინების, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებისა და სისტემატიზაციის თვალსაზრისით, განსაკუთრებით დადებითად უნდა შეფასდეს ზუგდიდის №5 საჯარო სკოლასა და თბილისის №10 საჯარო სკოლაში არსებული ვითარება.

⁹¹ ზუგდიდის №5 საჯარო სკოლა.

⁹² „საჯარო სკოლის საშტატო ნუსხისა და სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა დასახელებისა და რაოდენობის შეთანხმების შესახებ რიგ საკითხებზე განმარტებების თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეკომენდაცია.

არათანაბარ პირობებში აყენებს. შესაბამისად, მათი მხრიდან დასახელებული პოზიციისადმი ინტერესი დაბალია. მონიტორინგმა გამოავლინა, რომ ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ ფსიქოლოგთა რაოდენობა სამიზნე სკოლებში მკვეთრად ჩამოუვარდებოდა სპეციალურ მასწავლებელთა რაოდენობას, მიუხედავად დასახელებული კადრის საჭიროებისა.⁹³ რაც შეეხება ასისტენტის ანაზღაურებას, ის ნაკლებია ინკლუზიური განათლების სხვა სპეციალისტების ანაზღაურებასთან შედარებით, რაც მნიშვნელოვნად ართულებს შესაბამისი კადრის მოძიებას.⁹⁴

მონიტორინგის დროს გამოიკვეთა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტის ფუნქციის შეთავსება უმეტესად მშობელს უხდებოდა, რაც სამინისტროს რეკომენდაციით⁹⁵ დაუშვებელია.

შემოწმებული სკოლების უმრავლესობაში ინკლუზიურ საგანმანათლებლო პროცესში ჩართული სპეციალისტების უმეტესობა აკმაყოფილებდა დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სამიზნე 15 საჯარო სკოლაში⁹⁶ დასაქმებული 33 სპეციალური მასწავლებლიდან მხოლოდ 8 სპეციალურ მასწავლებელს არ ჰქონდა გავლილი სპეციალური მასწავლებლის პროფესიული განვითარების კურსი.⁹⁷ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არასახარბიელო მდგომარეობაა მასწავლებელთა გადამზადების კუთხით. კერძოდ, 15 სკოლაში დასაქმებული 860 მასწავლებლიდან, სხვადასხვა დროს ინკლუზიური განათლების მიმართულებით გადამზადება გავლილი ჰქონდა მხოლოდ 363 მასწავლებელს.

⁹³სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 15 სკოლაში სულ დასაქმებულია 33 სპეციალური მასწავლებელი და 7 ფსიქოლოგი (1 მეტყველების თერაპევტი და 1 ინდივიდუალური ასისტენტი ზუგდიდის №5 საჯარო სკოლაში); ფსიქოლოგები: თბილისის №60 სკოლა; №160 საჯარო სკოლა; №181 საჯარო სკოლა; რუსთავის №28 საჯარო სკოლა; ხაშურის №2 საჯარო სკოლა; მცხეთის №1 საჯარო სკოლა.

⁹⁴სამინისტროს რეკომენდაციით: ა) „ფსიქოლოგის“, „მოზილობისა და ორიენტაციის სპეციალისტის“, „ოკუპაციური თერაპევტის“, „ენისა და მეტყველების სპეციალისტის“ შრომის ანაზღაურება შეადგენს საათში 10 ლარს, კვირაში მაქსიმალური დატვირთვა - 10 საათი.

ბ) „ჟესტური ენის თარჯიმნის“ და „ჟესტური ენის სპეციალისტის“ შრომითი ანაზღაურება შეადგენს საათში 4 ლარს, კვირაში მაქსიმალური დატვირთვა - 25 საათი.

გ) „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტის“ შრომის ანაზღაურება შეადგენს საათში 3 ლარს, კვირაში მაქსიმალური დატვირთვა - 30 საათი.

⁹⁵ რეკომენდაცია „საჯარო სკოლის სამტატო ნუსხისა და სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა დასახელებისა და რაოდენობის შეთანხმების შესახებ რიგ საკითხებზე განმარტებებით“.

⁹⁶ინფორმაცია გამოვითხოვეთ 15 სკოლიდან. საპასუხო კორესპონდენციები: MES 1 19 00380524; MES 9 19 00408468; MES 0 19 00405327; MES 0 19 00428467; MES 5 19 00384515; MES 0 19 00386284; MES 6 19 00363979; MES 3 19 00356433; MES 8 19 00404821; MES 1 19 00376123; MES 4 19 00355336; MES 2 19 00388725; MES 8 19 00383717; MES 7 19 00358273; MES 5 19 00613051.

უნდა აღინიშნოს, რომ საგნის მასწავლებლები და დამრიგებლები უმეტესად 2010 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის, „ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოს 9 რეგიონის საჯარო სკოლებში“, ან/და „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროექტი თბილისის 10 სკოლისთვის“, ფარგლებში გადამზადდნენ. აღნიშნული პერიოდის შემდგომ განხორციელებულ გადამზადების პროგრამებს შორის წყვეტა საკმაოდ ხანგრძლივია. ამასთან, დაბალია მათში ჩართულ დამრიგებელთა/მასწავლებელთა რაოდენობა. როგორც სკოლის პერსონალთან ინტერვიუების დროს გამოვლინდა, გადამზადებულ მასწავლებელთა რაოდენობა და გადამზადების ხარისხი⁹⁸ ვერ უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის სრულყოფილად ჩართვას ინკლუზიურ საგანმანათლებლო პროცესში.

მონიტორინგმა ცხადყო, რომ სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში განსხვავებულია სპეციალური მასწავლებლების საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის ხარისხი. რიგ შემთხვევებში სპეციალური მასწავლებლები მათი ფუნქციების შესაბამისად გასცემენ შესაბამის რეკომენდაციებს და ახორციელებენ მონიტორინგს, თუმცა მეტწილად მაინც შემორჩენილია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, სსსმ მოსწავლე კვლავ სპეციალური მასწავლებლის ექსკლუზიურ კომპეტენციად მოიაზრება.

თანამშრომლობა სკოლის საზოგადოების წევრებს შორის

თანამშრომლობა ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი მთავარი ასპექტია. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები⁹⁹ ხაზს უსვამს იმას, რომ მოზარდში შესაბამის უნარ-ჩვევათა გამომუშავება უნდა მოხდეს სასკოლო გარემოს სრული ჩართვით. მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების, ადმინისტრატორებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით.

„ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით¹⁰⁰, გაწერილია სსსმ მოსწავლის საჭიროებების

⁹⁸უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს შემთხვევებში გადამზადების პროგრამები არ არის პრაქტიკაზე ორიენტირებული.

⁹⁹„ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილება. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/11098?publication=0>>ბოლოს ნანახია [15.03.2019].

¹⁰⁰დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4007539>> ბოლოს ნანახია: [15.03.2019].

შესაბამისად სხვადასხვა ეტაპზე სკოლის ადმინისტრაციის, ინკლუზიური განათლების სპეციალისტების, მშობლების, დამრიგებლებისა და მასწავლებლების უფლება-მოვალეობები, რომელიც თანამშრომლობის კომპონენტსაც ითვალისწინებს.¹⁰¹ეროვნული სასწავლო გეგმის¹⁰² მე-18 მუხლის თანახმად, სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს სკოლის საზოგადოების წევრებისთვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას.

ინკლუზიური განათლების საპილოტე სკოლებში განხორციელებულმა მონიტორინგმა ცხადყო, რომ თანამშრომლობის კუთხით სკოლებში დანერგილია არაერთგვაროვანი პრაქტიკა. კერძოდ, რიგ შემთხვევებში¹⁰³ იყო მჭიდრო თანამშრომლობა სკოლის ადმინისტრაციას, პედაგოგებსა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების შორის. სკოლის დირექტორი თავად ესწრებოდა ისე ჯგუფის შეხვედრებს, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები კი მიმართავდნენ დირექციას სხვადასხვა აქტივობებისა თუ ღონისძიებებისათვის საჭირო რესურსების შესახებ. რიგ სკოლებში კი, ამ კუთხით თანამშრომლობა არ იყო დამაკმაყოფილებელი.

ძირითადად გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის თანახმადაც, სსსმ (შშმ) მოსწავლეების საჭიროებებთან დაკავშირებით, საგნის მასწავლებლებს და დამრიგებლებს ნაკლები კომუნიკაცია ჰქონდათ სკოლის ადმინისტრაციასთან. ამასთან, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც მასწავლებლებს არ ჰქონდათ მიმდებლური დამოკიდებულება ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მიმართ. კერძოდ, მიუხედავად გამოკვეთილი საჭიროებისა,¹⁰⁴ ისინი არ მიიჩნევდნენ საჭიროდ სპეციალური მასწავლებლის, ფსიქოლოგის გაკვეთილზე დასწრებას და მათთან სათანადოდ არ თანამშრომლობდნენ. გამონაკლისი იყო რთული ქცევის შემთხვევები. მნიშვნელოვან გამოწვევად უნდა დასახელდეს პედაგოგებსა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტებს შორის დამკვიდრებული თანამშრომლობის პრაქტიკა დოკუმენტაციის წარმოებისა და ისე ჯგუფების საქმიანობაში ჩართულობის კუთხით. მონიტორინგის დროს გამოვლინდა, რომ პედაგოგებს ძირითადად უჭირთ საკუთარ საგნებში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამოუკიდებლად შედგენა, ისე ჯგუფის მუშაობაში ეფექტიანი მონაწილეობა და პასუხისმგებლობა ამ კუთხით ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისთვის აქვთ გადაბარებული.

¹⁰¹იქვე. მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი; 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ზ), მ) და ნ) ქვეპუნქტები; 24-ე მუხლის დ) და თ) პუნქტები.

¹⁰²დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3285991?publication=7>.

¹⁰³სსიპ მცხეთის №1 საჯარო სკოლა, სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქობულეთის №3 საჯარო სკოლა.

¹⁰⁴ვერ ახერხებდნენ სათანადოდ მოსწავლეებზე ყურადღების გადანაწილებას და სსსმ მოსწავლის ყველა ეტაპზე ჩართვას.

სკოლებში განხორციელებული ვიზიტების, დაკვირვებისა და ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სსსმ მოსწავლეების მშობლები ნაკლებად არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში. ისინი ხშირად აცდენენ ისე ჯგუფის შეხვედრებს და არც დამრიგებლის/საგნის მასწავლებლის/ინკლუზიური განათლების სპეციალისტების რეკომენდაციებს ითვალისწინებენ.¹⁰⁵ ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ძირითადად არ არიან წარმოდგენილნი სამეურვეო საბჭოებსა და მშობელთა კომიტეტებში.¹⁰⁶ სსსმ მოსწავლეების მშობლებს უფრო ხშირი კომუნიკაცია აქვთ ინკლუზიური განათლების სპეციალისტებთან, ვიდრე ადმინისტრაციასთან და საგნის მოსწავლეებთან. სპეციალისტები მათ უმეტესად სიტყვიერ რეკომენდაციებს აძლევენ სახლში შესასრულებელი დავალებების თემატიკასთან დაკავშირებით, თუმცა ნაკლებად იმ მეთოდებსა და სტრატეგიებზე, რომლებიც უნდა გამოიყენონ დამოუკიდებლად, სახლში მუშაობის დროს.

უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ძალადობისგან დაცვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხო გარემოს შექმნა და ძალადობის აღმოფხვრა წარმოადგენს არსებით საკითხს, რომლის გარეშეც შეუძლებელია ხარისხიანი განათლების მიწოდება. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის¹⁰⁷ მე-20 მუხლი ძალადობის დაუშვებლობას, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ეხება. მოცემული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დაუშვებელია სკოლაში ძალადობა მოსწავლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ფიზიკური ან/და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის დადგენილებით დამტკიცებულია „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები“.¹⁰⁸ დადგენილების მე-

¹⁰⁵სკოლების წარმომადგენელთა გადმოცემით, შშმ მოსწავლეები ძირითადად მოწყვლადი ოჯახებიდან (მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა) არიან და მათი კანონიერი წარმომადგენლების სასკოლო ცხოვრებაში დაბალი ჩართულობა ამითაც არის განპირობებული.

¹⁰⁶გამონაკლისი იყო ნიკო მარის სახელობის ჩოხატაურის №1 საჯარო სკოლა, სადაც შშმ მოსწავლის მშობელი მშობელთა კომიტეტის წევრია.

¹⁰⁷ საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=76> > ბოლოს ნანახია [10.01.2018].

¹⁰⁸ საქართველოს მთავრობის №437 დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3394478?publication=0> > ბოლოს ნანახია [09.01.2019].

5 მუხლით განსაზღვრულია რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტები და მათი უფლებამოსილებები. აღნიშნული მუხლი სხვა სუბიექტებთან ერთად,¹⁰⁹ რეფერირების სუბიექტად მიიჩნევა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს, ასევე, საგანმანათლებლო და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ამავე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, აღნიშნული სუბიექტები უფლებამოსილნი არიან, რეფერირების პროცედურების ფარგლებში, ბავშვზე ძალადობის ექვის გაჩენის შემთხვევაში, ადგილზე გააანალიზონ შემთხვევა და საფუძვლიანი ექვის შემთხვევაში, უზრუნველყონ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა¹¹⁰ და პოლიციის ინფორმირება. მათ ასევე კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოსთან თანამშრომლობით უნდა აწარმოონ ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობა. დადგენილებაში მითითებულია, რომ რეფერირების სუბიექტები მოქმედებენ საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში და შესაბამისი შიდა ინსტრუქციების მიხედვით. რეფერირების სუბიექტის¹¹¹ მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენისა და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსათვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.¹¹²

სკოლებში ჩატარებულმა მონიტორინგმა გამოავლინა, რომ დაწესებულებებს უმეტეს შემთხვევებში არ აქვთ შემუშავებული მოსწავლეთა ძალადობისგან დაცვის შიდა

¹⁰⁹ რეფერირების სუბიექტები არიან: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი დაწესებულებები და ამ სამინისტროთა სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული/მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები; საქართველოს პროკურატურა; სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი; საბავშვო ბაღები; სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური (შემდგომში - მანდატურის სამსახური); საგანმანათლებლო და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებები; ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებები და თავშესაფრები; სამედიცინო სერვისების მიმწოდებლები (მათ შორის, სოფლის ექიმები); მუნიციპალიტეტების გამგეობა/მერია (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში - მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობა)/მისი უფლებამოსილი დაწესებულება (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი), საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების ფარგლებში.

¹¹⁰ სააგენტოს ინფორმირება ხდება ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათის ან/და სამინისტროს „ცხელი ხაზის“ მეშვეობით.

¹¹¹ დაწესებულების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის.

¹¹² დადგენილების მე-20 მუხლი.

ინსტრუქცია.¹¹³ ასევე არ ხდება ძალადობის შემთხვევების და სკოლის მიერ მის საპასუხოდ გატარებული ღონისძიებების ცალკე აღრიცხვა. სკოლებში ძალადობისგან დაცვაზე პასუხისმგებელი პირები ძირითადად მანდატურები არიან. შესაბამისად, ძალადობის ფაქტების რეგისტრაცია მხოლოდ მათ მიერ შედგენილი ოქმებით ხდება და ინფორმაცია სისტემატიზებული არ არის. შესაბამისად, დირექტორებს უჭირდათ ძალადობის ფაქტების გახსენება და სტატისტიკური ინფორმაციის წარმოდგენა.

ნეგატიურად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ ყველა სკოლა არ იყო ვიდეოკამერებით აღჭურვილი. რიგ შემთხვევებში კი, ვიდეომეთვალყურეობის ტექნიკა არ ფუნქციონირებდა. სათანადოდ არც უცხო პირთა შესვლა კონტროლდებოდა. სხვა სკოლებისგან განსხვავებით, სსიპ ზესტაფონის №4 საჯარო სკოლაში უცხო პირთა შესვლა ხორციელდებოდა საშვების დაშვებით და გამოყოფილი იყო აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელი პირი, რაც უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით, დადებითად უნდა შეფასდეს.

დაწესებულებების შინაგანაწესები უმეტეს შემთხვევებში არ მოიცავდა კონკრეტულ დებულებებს მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან, ძალადობისა თუ დისკრიმინაციისგან დაცვის საკითხებზე და მხოლოდ დისციპლინური პასუხისმგებლობის ნაწილში იყო გათვალისწინებული ის ქმედებები,¹¹⁴ რაც შეიძლება გამხდარიყო დისციპლინური სახდელების გამოყენების საფუძველი. რიგ შემთხვევებში, სასკოლო სასწავლო გეგმის ინკლუზიური განათლების კომპონენტის ნაწილში იყო განსაზღვრული ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო იმისთვის, რათა სსსმ მოსწავლეებს სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად ეგრძნოთ. თუმცა დასახელებული ღონისძიებების ანალიზმა ცხადყო, რომ ისინი ზოგადად სასწავლო პროცესს მიემართება და არ არის თვისობრივად ორიენტირებული ძალადობისგან დაცვაზე.

მიუხედავად იმისა, რომ 2016 წელს, რეფერირების პროცედურების დამტკიცების შემდეგ, თითქმის ყველა სკოლაში განხორციელდა საინფორმაციო შეხვედრები, სკოლების მიერ შესაბამის სუბიექტებთან რეფერირების მაჩვენებელი დაბალია. პასუხისმგებელი პირები მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში ავსებენ ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათებს და

¹¹³ გამონაკლისს წარმოადგენდა სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის, სსიპ ნიკო მარის სახელობის დაბა ჩოხატაურის №1 საჯარო სკოლა და ქობულეთის №3 საჯარო სკოლა. ამ უკანასკნელში ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციის გარდა, შემუშავებული იყო ძალადობის აღრიცხვის რეესტრის (რეფერირების რეესტრი) ფორმა.

¹¹⁴ მოსწავლის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, კონფიდენციალურობის დარღვევა, დისკრიმინაცია.

ფაქტობრივად არ სარგებლობენ ცხელი ხაზით.¹¹⁵ დირექტორები უმეტესად შიდა კომუნიკაციით (გასაუბრებით და ინფორმაციის მიწოდებით) ცდილობენ პრობლემების გადაწყვეტას. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სისტემატური გაცდენების შემთხვევებში იშვიათად ხდება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმირება და საჭირო ზომების მიღება კანონიერი წარმომადგენლების მიერ სავარაუდოდ განხორციელებული უგულვებელყოფის გამოსავლენად.¹¹⁶

მონიტორინგის დროს გამოიკვეთა, რომ მანდატურის სამსახურთან არსებულ ფსიქოლოგის მომსახურებაში გადამისამართებას ძირითადად ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეებთან დაკავშირებით მიმართავენ, თუმცა დირექტორების გადმოცემით, რთულია შედეგზე გასვლა, რადგან თავად მშობლები არ მიიჩნევენ საჭიროდ შვილისთვის დასახელებული სერვისის მიწოდებას.

სსსმ მოსწავლეების სასკოლო აქტივობებში ჩართვა

სსსმ მოსწავლეთა სასკოლო აქტივობებში ჩართვის უზრუნველსაყოფად საჭიროა გუნდური მიდგომა. ამასთან, ინკლუზიური განათლების სპეციალისტებს აკისრიათ მნიშვნელოვანი როლი. სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად,¹¹⁷ სპეციალურ მასწავლებელს უნდა შეეძლოს სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხარისხის გაზრდის ხელშეწყობა.

მონიტორინგის დროს გამოვლინდა, რომ ინკლუზიური განათლების სპეციალისტების და დამრიგებლების ორგანიზებით, ტარდება სხვადასხვა ღონისძიება სკოლის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ (ექსკურსიები, თეატრში, მუზეუმში ვიზიტი), რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს სსსმ მოსწავლეების სასკოლო ცხოვრებაში და თანაკლასელებთან/თანასკოლელებთან ინტეგრაციას. თუმცა გამოვლინდა ისეთი

¹¹⁵ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი - 15 05.

¹¹⁶გამონაკლისია მცხეთის №1 საჯარო სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკა. კერძოდ, დირექტორი აქტიურად თანამშრომლობს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან სოციალურ პრობლემებთან და ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სოციალური მუშაკები პერიოდულად ახორციელებენ ვიზიტებს სკოლაში. სკოლა ასევე უწევს ზედამხედველობას ძალადობის მსხვერპლი ბავშვების მდგომარეობას და სოციალურ მუშაკებს უგზავნის წერილობით ანგარიშებს.

¹¹⁷„სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი“. 55-ე მუხლის პირველი ნაწილის (სასწავლო გარემო) ბ) პუნქტი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/specialuri%20maswavleblis%20standarti.pdf.

შემთხვევები, როდესაც გარკვეული შეზღუდვის მქონე¹¹⁸ მოსწავლეების სკოლის შიდა აქტივობებში ჩართულობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა და ისინი ძირითადად დამსწრის როლში იყვნენ. რაც შეეხება სკოლის ფარგლებს გარეთ დაგეგმილ ღონისძიებებს (მაგ. ექსკურსიებს), განსაკუთრებით მწვავედ დგას ქვეყნის სირთულის მქონე და ეტლით მოსარგებლე მოსწავლეთა ჩართულობა. აღნიშნულის განმაპირობებელ მიზეზად სახელდება თანაკლასელებს შორის სიტუაციის გამწვავების ალბათობა და ადაპტირებული ტრანსპორტის არქონა.¹¹⁹

მონიტორინგის დროს გამოიკვეთა, რომ ინტეგრაციის პროცესს აფერხებს სსსმ მოსწავლეების მიმართ სტიგმის შემცველი დამოკიდებულება როგორც სხვა მოსწავლეების მშობლების, ისე სკოლის პერსონალის მხრიდან. მონიტორინგის პროცესში რამდენიმე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა და საგნის მასწავლებელმა გამოიყენეს ისეთი არაეთიკური ტერმინები, როგორებიცაა: „დეფექტური მოსწავლე“, „კარგი მოსწავლე და ინკლუზიური მოსწავლე“ და ა.შ.

რაც შეეხება უშუალოდ სწავლაში ჩართულობას, რიგ შემთხვევებში, საგაკვეთილო პროცესის დროს ხდებოდა სსსმ მოსწავლეთა გამოყოფა და მათ განსაკუთრებულ საჭიროებებზე ხაზგასმა. ¹²⁰ინტერვიუს დროს რამდენიმე მოსწავლემ (მათ შორის, ეტლით მოსარგებლე) აღნიშნა, რომ თანაკლასელებისგან განსხვავებით, ისინი დაფასთან თითქმის არ ასრულებენ სამუშაოს.

საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ სსსმ მოსწავლის მიზნები და აქტივობები ზოგჯერ დაკავშირებული იყო კლასის მიზანთან და მოსწავლე იმავე თემის ფარგლებში მუშაობდა გამარტივებული, მასზე მორგებული დავალებებით. თუმცა, ზოგ შემთხვევებში, ვერ ხერხდებოდა კლასისთვის მიცემული აქტივობების დაკავშირება სსსმ მოსწავლის აქტივობებთან. ჯგუფური მუშაობისას, რიგ შემთხვევებში, სსსმ მოსწავლე განცალკევებით იჯდა და ასრულებდა ინდივიდუალურ დავალებას. როგორც გაირკვა, სსსმ მოსწავლეებს ხშირად იმავე საშინაო დავალებას ამღებდნენ, რასაც მის თანაკლასელებს, რაც არ იყო მათ შესაძლებლობებზე მორგებული.

¹¹⁸ მაგალითად, მეტყველების შეფერხება, ინტელექტუალური განვითარების შეფერხება

¹¹⁹ შემოწმებული სკოლების გარკვეულ ნაწილს ემსახურებოდა მიკროავტობუსი. თუმცა ნეგატიურად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ „მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი სატრანსპორტო საშუალებებიდან არცერთი არ არის ადაპტირებული (განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 25 მარტის კორესპონდენცია MES 0 19 00349267).

¹²⁰ მაგალითად, ისინი თანაკლასელებისგან განცალკევებით ისხდნენ და სარგებლობდნენ მათთვის ცალკე გამოყოფილი დაფით. ამასთან, მასწავლებლები ხშირად აპელირებდნენ სსსმ მოსწავლეების განსხვავებულობაზე მსგავსი ტიპის კომენტარებით: „მაია“ (პირობითად) წერს თავის დავალებას, ჩვენ თემას დავუბრუნდეთ.“ „თქვენ 6 დავალება მოგეცით, „ანის“ (პირობითად) მხოლოდ 2-ს მივცემ“ და ა.შ.

მონიტორინგის დროს გამოიკვეთა, რომ სსსმ (შშმ) მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინება არ ხდება სრულყოფილად გამოცდებზე. სკოლების ადმინისტრაციის გადმოცემით, ისინი ექსტერნატის, წლიურ თუ შემესტრულ გამოცდებზე ძირითადად ინდივიდუალური განვითარების გეგმებით ხელმძღვანელობენ, თუმცა პრობლემურია მისაწვდომი საგამოცდო ფორმატების დანერგვა. საჭიროა საგამოცდო საკითხების სირთულის დონეების მიხედვით დივერსიფიცირება, ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, ხანგრძლივობის დროის ცვლილება გონივრული მისადაგების პრინციპის გათვალისწინებით. რიგ შემთხვევებში საკითხები არ არის მორგებული სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე. ამასთან, არ ტარდება სხვადასხვა შეზღუდვის მქონე მოსწავლეებისთვის (განსაკუთრებით, სენსორული შეზღუდვის მქონე) მისაწვდომი ფორმატით. იყო შემთხვევები, როდესაც შშმ მოსწავლემ რამდენჯერმე ვერ დაძლია წლიური გამოცდა.¹²¹

ქცევის მართვა

სპეციალური მასწავლებლის სტანდარტის თანახმად,¹²² სპეციალური მასწავლებელი უნდა ფლობდეს და იყენებდეს ქცევის მართვის სტრატეგიებს.

„ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანების მე-2 მუხლით გაწერილია ინკლუზიური განათლების სპეციალისტების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ასისტენტის ფუნქციები. ამავე ბრძანების თანახმად, სსსმ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისთვის, მასწავლებლებისა და სხვა სპეციალისტებისთვის სსსმ მოსწავლეთა სწავლების სტრატეგიებსა და ქცევის მართვაზე კონსულტაციის გაწევა ფსიქოლოგს ევალება.

სამინისტროს რეკომენდაციით,¹²³ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი უნდა დაემატოს შტატში იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში სწავლობენ

¹²¹მაგალითად, რუსთავის №28 საჯარო სკოლის ერთ-ერთმა მოსწავლემ, რომელიც არის სმენის შეზღუდვის მქონე, 3-ჯერ ვერ დაძლია წლიური გამოცდა.

¹²²„სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი“. მუხლი 55. მე-3 ნაწილის თ) პუნქტი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/specialuri%20maswavleblis%20standarti.pdf>.

¹²³საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შიდა დოკუმენტი - „საჯარო სკოლის საშტატო ნუსხისა და სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში

სსსმ მოსწავლე/მოსწავლეები, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას გადაადგილების დროს, არ აქვთ განვითარებული თვითმომსახურების ჩვევები ან აქვთ სირთულეები ქცევის მართვაში.

მონიტორინგის პროცესში გამოწვევად გამოიკვეთა ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისა და პედაგოგების მიერ არსებული რესურსის ფარგლებში რთული ქცევის მართვა. სსსმ მოსწავლეებთან მიმართებით აღნიშნული ძირითადად მოსწავლის რესურს-ოთახში გაყვანაში გამოიხატება, რაც საგაკვეთილო პროცესიდან მათ ხანგრძლივი დროით მოწყვეტას და სეგრეგაციას განაპირობებს.¹²⁴ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად გამოკვეთილი პრობლემებისა, ქცევის პოზიტიური მართვის ხელშეწყობისთვის სპეციალური პროგრამა არცერთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არ ხორციელდებოდა. ამასთან, არ ჰყავდათ დასაქმებული სსსმ მოსწავლის ასისტენტი.¹²⁵ პრობლემაა ისიც, რომ ცენტრალურ დონეზე არ არის შემუშავებული რთული ქცევის მართვის სტრატეგია.

ნ. ა.-ს შემთხვევა¹²⁶

ერთ-ერთ მოსწავლეს, ნ. ა.-ს, აუტიზმის სპექტრის აშლილობა აღენიშნება. დირექტორის გადმოცემით, 6 წელი დასჭირდა მშობელთან მუშაობას, რათა მას ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებები ელიარებინა და მისი შეფასება მომხდარიყო. დაწესებულებას უჭირს მისი ქცევის მართვა და ამის გამო, საკლასო ოთახიდან ხშირად გაჰყავთ რესურს-ოთახში, იმ მიზნით რომ „სხვები არ დაზარალდნენ“. იგი ასევე მოწყვეტილია სპორტის გაკვეთილებს და ფიზიკური აღზრდისთვის განკუთვნილ დროს რესურს-ოთახში ატარებს. ადმინისტრაციის განმარტებით, ეს იმით არის გამოწვეული, რომ მისი ქცევიდან გამომდინარე, მუდმივ ყურადღებას საჭიროებს. ბავშვს ასევე ესაჭიროება დახმარება თვითმომსახურებაში (საჭირო ოთახში გაყვანა), თუმცა ინდივიდუალური ასისტენტი სკოლას არ ჰყავს. შესაბამისად, მის ოჯახის წევრს ან თანაკლასელებს უწევთ საჭირო ოთახში მისი გაყვანა, რაც დისკომფორტთანაა დაკავშირებული. ბავშვთან მუშაობს სპეც. მასწავლებელი, თუმცა მისი სპეციფიკური საჭიროებებიდან გამომდინარე, ეს საკმარისი არ არის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მულტიდისციპლინური გუნდის შეფასება იყო 2016 წლის¹²⁷ და შესაბამისად,

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა დასახელებისა და რაოდენობის შეთანხმების შესახებ რიგ საკითხებზე განმარტებები“.

¹²⁴ „ქცევის გამოყენებითი ანალიზის“ პრინციპების შესაბამისად, ასეთ დროს იზრდება არასასურველი ქცევის გამოვლენის ალბათობა, შესაბამისად, აღნიშნული პრაქტიკა აბრკოლებს მოსწავლის სწავლისა და ინტეგრაციის პროცესს.

¹²⁵ ზუგდიდის N 5 საჯარო სკოლის გარდა.

¹²⁶ მოსწავლე სწავლობს რუსთავის N 28 საჯარო სკოლაში.

¹²⁷ შეფასების თარიღი: 24.11.2016.

მოსწავლისთვის ინდივიდუალური ასისტენტის დანიშვნის საკითხის საჭიროება განხილული არ იყო.

როგორც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, თითქმის ყველა სკოლაში ირიცხებოდნენ მოსწავლეები მკვეთრად გამოხატული ქცევის სირთულეებით. საგნის მასწავლებლები და მშობლები აღნიშნავდნენ, რომ ქცევის მართვასთან დაკავშირებულ რჩევებს იღებდნენ სპეციალისტებისგან, თუმცა კონკრეტულ რეკომენდაციებს ვერ იხსენებდნენ. ამასთან, გადამოწმების დროს აღმოჩნდა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები არ იყო დოკუმენტირებული.

არასასურველი ქცევის სამართავად, შედარებით პოზიტიური პრაქტიკა გამოვლინდა ორ სკოლაში,¹²⁸ სადაც თითოეული მოსწავლისთვის შედგენილი იყო ქცევის მართვის გეგმა. ორივე შემთხვევაში განისაზღვრა კონკრეტული არასასურველი ქცევები, ასევე განისაზღვრა ალტერნატიული ქცევები, გაიწერა სტრატეგიები და რეკომენდაციები რთული ქცევის სამართავად. ინკლუზიური განათლების სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ ახდენდნენ გაკვეთილზე ქცევაზე დაკვირვებას, თუმცა როგორც გამოიკვეთა, დასწრება უმეტესად არ იყო ინტენსიური. ქცევის ეფექტურად სამართავად კი აუცილებელია ქცევაზე დაკვირვება იყოს ინტენსიური, ხორციელდებოდეს სხვადასხვა დროსა და გარემოში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქცევაზე დაკვირვების ჩანაწერები არ იყო შედგენილი ქცევაზე დაკვირვების სტანდარტების შესაბამისად.¹²⁹

შიდა და გარე მონიტორინგი

ინკლუზიურ განათლებაზე შიდა და გარე მონიტორინგის წესებს არეგულირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი“.¹³⁰

¹²⁸ თელავის №7 და თბილისის №10 საჯარო სკოლები.

¹²⁹ ქცევის გამოყენებითი ანალიზი. პროცედურების სახელმძღვანელო. თბილისი, 2004 წელი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_psychology/qcev_gam_analiz.pdf?fbclid=IwAR1O_hwubVfK-u690D6V7Ee2EXtEQMHEnLVNGPKHDVaFzjfrndmQp9Mb6o>.

¹³⁰ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის ბრძანება №16/ნ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4007539?publication=0>> ბოლოს ნანახია [26.03.2019].

ხსენებული წესის თანახმად,¹³¹ სკოლაში ინკლუზიურ განათლებაზე ხორციელდება გარე და შიდა მონიტორინგი. კერძოდ, სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი (არანაკლებ სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ), რომელიც მუშავდება სამინისტროსა და მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციის საფუძველზე. ამასთან, ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის განხორციელების მიზნით, სკოლის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის ჯგუფს და განსაზღვრავს მის უფლებამოსილებებს. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ჯგუფი ადგენს ინკლუზიურ განათლებაზე განხორციელებული შიდა მონიტორინგის დასკვნას, რომელსაც შედგენიდან არაუგვიანეს 7 დღისა, წარუდგენს სამინისტროს. რაც შეეხება ინკლუზიურ განათლებაზე გარე კონტროლის მექანიზმს, სკოლისთვის წინასწარი შეტყობინებით ან შეტყობინების გარეშე მას ახორციელებს სამინისტრო ან/და სამინისტროს მიერ განსაზღვრული შესაბამისი ორგანო/ორგანიზაცია.¹³²

თხუთმეტ საჯარო სკოლაში განხორციელებული ვიზიტების შედეგებმა ცხადყო, რომ სკოლების უმრავლესობაში არ სრულდებოდა შიდა მონიტორინგით გათვალისწინებული ღონისძიებები. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ სკოლების დირექტორებს გამოცემული ჰქონდათ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის განხორციელების თაობაზე, მონიტორინგის დროს, შეკითხვების დასმისას, გამოვლინდა, რომ დირექტორთა ნაწილი ინფორმაციას არ ფლობდა ხსენებული აქტების, დასახელებული ინსტრუმენტის შემუშავების საფუძვლების, ამ აქტებით განსაზღვრული მონიტორინგის ჩატარებაზე უფლებამოსილი ჯგუფის არსებობისა და ფუნქციების შესახებ. ამასთან, მათ არ იცოდნენ ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის განხორციელების პერიოდულობის ზუსტი ვადები. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის განხორციელების კუთხით არსებულ პრობლემებს ადასტურებს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან მიღებული ინფორმაცია,¹³³ რომლის თანახმად, დასახელებული 15 სკოლიდან, 2017-2018 სასწავლო წელს, შიდა მონიტორინგი ჩატარდა მხოლოდ 6 საჯარო სკოლაში.¹³⁴ ასევე, მოცემული სკოლების მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი დასკვნები უმეტეს შემთხვევაში ზოგადია და არ

¹³¹ თავი VI. მუხლები 33-35.

¹³² საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენისა და სკოლის მიერ მისი გამოუსწორებლობის შემთხვევაში, სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი უფლებამოსილია მიმართოს სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს.

¹³³ კორესპონდენცია MES 4 19 00166165, 14/02/2019.

¹³⁴ ახალციხის №5, რუსთავის №28, ზუგდიდის №5, თბილისის №181, №160, №60 საჯარო სკოლებში.

მოიცავს შესამოწმებელი მიმართულებების სიღრმისეულ ანალიზს, არც კონკრეტული ხარვეზების გამოვლენის საშუალებას იძლევა.

ამასთან, დასკვნებში ასახული ინფორმაციისა და ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების¹³⁵ მიუხედავად, სკოლების შიდა მონიტორინგის პროცესი ძირითადად ორიენტირებული იყო დოკუმენტაციის ფორმალურად შემოწმებაზე და არა ბრძანებით განსაზღვრულ ყველა მიმართულებაზე. სსსმ მოსწავლეებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო რესურსები კი მხოლოდ რესურს-ოთახის ინვენტართან მიმართებით ფასდებოდა. ამასთან, მონიტორინგის პროცესში ნაკლები ყურადღება ეთმობოდა ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისა და სსსმ მოსწავლეების მშობელთა ჩართულობას.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგებმა ასევე ცხადყო, რომ მიუხედავად საჯარო სკოლების მიერ შიდა მონიტორინგის დასკვნების წარდგენისა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხრიდან რაიმე სახის უკუკავშირი არ განხორციელებულა. ამგვარი პრაქტიკა ართულებს მონიტორინგის შიდა მექანიზმის დახვეწას და სკოლაში ინკლუზიური განათლების ხარისხზე უარყოფითად აისახება.

რაც შეეხება გარე მონიტორინგს, საჯარო სკოლებში განხორციელებული ვიზიტებისა და სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის¹³⁶ საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლათა უმრავლესობაში არ ჩატარებულა ინკლუზიური განათლების გარე მონიტორინგი. კერძოდ, დასახელებული 15 სკოლიდან, 2017-2018 წელს სამინისტროს მულტიდისციპლინურმა გუნდმა, შემთხვევითი შერჩევის პრინციპის გათვალისწინებით, მონიტორინგი ჩატარა მხოლოდ 5 საჯარო სკოლაში.¹³⁷ ამასთან, სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდი ძირითადად ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებსა და დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს ამოწმებდა და არ

¹³⁵ ძირითადად ეხებოდა ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების რაოდენობის ზრდას, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას (ინკლუზიური განათლების კუთხით), მასწავლებელთა და მშობელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო შეხვედრების/ტრენინგების ჩატარებას, ინფრასტრუქტურის მხრივ არსებულ პრობლემებსა და რესურს-ოთახის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვას.

¹³⁶ კორესპონდენცია MES 4 19 00166165-14/02/2019.

¹³⁷ახალციხის №5, ჩოხატაურის №1, მცხეთის №1, ხაშურის №2, ონის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლა. მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილი პრობლემები და რეკომენდაციები უმრავლეს შემთხვევაში ეხებოდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: საგნის მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება, ინკლუზიური განათლების, მათ შორის, რთული ქცევის სტრატეგიის ფლობის მიმართულებით არსებული პრობლემები, ინდივიდუალური გეგმის შედგენისას მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინება, მოცემული გეგმის სპეციალური მასწავლებლებისა და საგნის მასწავლებლების მიერ ერთობლივი ძალისხმევით შედგენა, სსსმ მოსწავლის მშობლის ჩართულობა. ამასთან, ყურადღება გამახვილებული იყო სკოლის გუნდურ მიდგომაზე.

შეფასებულა ინკლუზიური განათლების სპეციალისტების საქმიანობისა და საგაკვეთილო პროცესებში სსსმ მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინება. სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში ცნობილი გახდა, რომ მულტიდისციპლინური გუნდის გარდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში გარე მონიტორინგს ახორციელებენ რესურს-ცენტრებიც, რომლებიც ძირითადად ასევე დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს ამოწმებენ.

დასკვნა

მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არსებობს როგორც სისტემურ, ისე სკოლების ადმინისტრაციის დონეზე მოსაგვარებელი საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც მნიშვნელოვანია ინკლუზიური განათლების სათანადოდ დანერგვისთვის.

ზემოთ დასახელებული მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია დამაბრკოლებელ გარემოებათა სათანადოდ გააზრება და მათზე დროული რეაგირება. მათ შორის მნიშვნელოვანია: სსსმ მოსწავლეთა კომპლექსური საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის დაფინანსების მექანიზმის ცვლილება, სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვის/განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავება, მოსწავლეთა ძალადობისგან დაცვისა და რთული ქცევის მართვისთვის შესაბამისი მექანიზმების დანერგვა, სკოლების გარე და შიდა ინფრასტრუქტურის/სასწავლო რესურსების მისაწვდომობის უზრუნველყოფა, ინკლუზიური განათლების სპეციალისტების¹³⁸ დაქირავება, სსსმ მოსწავლეების (შშმ) საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის სკოლების პერსონალის გადამზადება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების სრულყოფილად წარმოება, დაწესებულებების გარე და შიდა მონიტორინგის ეფექტური სისტემის შექმნა და სხვ.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პრობლემების დროულად და ეფექტიანად მოსაგვარებლად, სახალხო დამცველმა პასუხისმგებელი უწყებების მიმართ შეიმუშავა კონკრეტული რეკომენდაციები.

რეკომენდაციები

¹³⁸ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი, ჟესტური ენის სპეციალისტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, ენისა და მეტყველების თერაპევტი.

საქართველოს მთავრობას

- განახორციელოს სსსმ მოსწავლეთა დაფინანსების მექანიზმის იმგვარი ცვლილება, რაც უზრუნველყოფს მათი კომპლექსური საჭიროებების დაკმაყოფილებას. მათ შორის, გათვალისწინებულ იქნას ინფრასტრუქტურის/სასწავლო მასალების მისაწვდომობასთან და ყველა საჭირო ინკლუზიური განათლების სპეციალისტის დაქირავებასთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან, გაატაროს ღონისძიებები ინკლუზიური განათლების სპეციალისტების რეკომენდებული ანაზღაურების გასაზრდელად.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების უზრუნველყოფის შემთხვევაში (თუ სკოლის მიერ მშობლისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან განმეორებითი თანხმობის მიღების მიზნით გონივრული ვადაში გატარებული ზომების მიუხედავად, ეს უკანასკნელი არ იქნება თანახმა შეფასებაზე), შესაძლებელს გახდის მოსწავლის შესაფასებლად სკოლის მიერ მულტიდისციპლინური გუნდისთვის მიმართვას
- „მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში საჯარო სკოლებს მომსახურება გაეწიოს ადაპტირებული ტრანსპორტით
- უზრუნველყოს სკოლის მასწავლებლებისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების გადამზადება სსსმ (შშმ) მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების თაობაზე, პრაქტიკაზე ორიენტირებული სატრენინგო მოდულების/პროგრამების გამოყენებით. მათ შორის: ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენასთან, რთული ქცევის მართვასთან, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე, მძიმე და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდებთან, მოსწავლეებთან კომუნიკაციის ალტერნატიული ტექნოლოგიების გამოყენებასთან, მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებით
- უზრუნველყოს სკოლის პერსონალის გადამზადების ხარისხის კონტროლი
- ზედამხედველობა გაუწიოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ რეფერირების პროცედურებით გათვალისწინებულ მოვალეობათა ჯეროვნად შესრულებას
- უზრუნველყოს რთული ქცევის მართვის სტრატეგიის შემუშავება და მათი სკოლებისთვის ხელმისაწვდომობა
- უზრუნველყოს ქცევის პოზიტიური მართვის ხელშემწყობი პროგრამების/სერვისების შემუშავება და მათი სკოლებში განხორციელება
- დამტკიცდეს რესურს-ოთახების მოწყობის სტანდარტი, რომელიც გაითვალისწინებს რესურს-ოთახის მოწყობის საბაზისო პრინციპებსა და მოთხოვნებს

- განხორციელდეს სსსმ მოსწავლეთა პირად საქმეში შესატანი დოკუმენტაციის ელექტრონული სახით დართვის შესაძლებლობის პროცედურულად გაწერა და სათანადო პროგრამული უზრუნველყოფა, რაც შესაძლებელს გახდის შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერით დადასტურებას
- სკოლებს პროაქტიულ რეჟიმში მიეწოდოთ დეტალური ინფორმაცია ინკლუზიური განათლების კუთხით განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით
- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნაში ნათლად გაიწეროს, თუ რა ტიპის ცვლილებას საჭიროებს ეროვნული სასწავლო გეგმა კონკრეტულ სსსმ მოსწავლესთან მიმართებით და რომელ საგანშია რეკომენდებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, ასევე, საჭიროებს თუ არა იგი ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მომსახურებას ან დასწრების ინდივიდუალურ გრაფიკს
- დამტკიცდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა და დეტალურად გაიწეროს აღნიშნული ფორმის შევსების წესი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმას დაემატოს გრაფა, სადაც მასწავლებლები შეძლებენ გაწერილი მიზნებისათვის საჭირო დროის მითითებას
- „მოსწავლის პირადი საქმის ფორმისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს №113/ნ ბრძანებით უფრო დეტალურად განისაზღვროს სსსმ მოსწავლის პირადი საქმისთვის დასართავი დოკუმენტაცია
- დასახელებული ბრძანებით ასევე გაიწეროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმისთვის დასართავი დოკუმენტაცია. მათ შორის, ადაპტირებული გაკვეთილის გეგმა
- ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურმა გუნდმა კონსულტაცია გაუწიოს ინკლუზიური განათლების სპეციალისტებსა და საგნის მასწავლებლებს მოსწავლის აკადემიური, კოგნიტური და ფუნქციური უნარების შეფასებასთან, ასევე, საგნობრივი შეფასებების შედგენასთან დაკავშირებით
- მულტიდისციპლინურმა გუნდმა გააკონტროლოს სკოლის გუნდის მიერ მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით გატარებული ღონისძიებები
- უზრუნველყოს სკოლების მიერ ინკლუზიურ განათლებაზე განხორციელებულ შიდა მონიტორინგზე (მათ შორის, სკოლების მიერ წარდგენილ დასკვნებზე) უკუკავშირის მიწოდება
- განახორციელოს უფრო ხშირი (მინიმუმ სემესტრში ერთხელ) გარე მონიტორინგი. ამასთან, მონიტორინგის პროცესში უზრუნველყოს ინკლუზიური განათლების კუთხით არსებული საჭიროებების სიღრმისეული შესწავლა, დოკუმენტაციის ანალიზი და კონკრეტული რეკომენდაციების გაცემა გამოვლენილ ხარვეზებზე
- აწარმოოს გარე მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს

- უზრუნველყონ ინკლუზიური განათლების დანერგვის/განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავება
- ხელი შეუწყონ სსსმ მოსწავლეების (შშმ) მშობლების მონაწილეობის ზრდას სასკოლო ცხოვრებაში, მათ შორის, სამეურვეო საბჭოებსა და მშობელთა კომიტეტებში ჩართულობის გზით
- უზრუნველყოს შიდა სასკოლო გამოცდებზე მისაწვდომი საგამოცდო ფორმატების გამოყენება, რაც მორგებული იქნება სსსმ მოსწავლეთა კომპლექსურ საჭიროებებზე. ამასთან, საგამოცდო საკითხების სირთულის დონეების მიხედვით დივერსიფიცირება და ხანგრძლივობის დროის ცვლილება გონივრული მისადაგების პრინციპის გათვალისწინებით
- უზრუნველყონ რეფერირების პროცედურებით განსაზღვრულ ვალდებულებათა დროულად შესრულება
- უზრუნველყონ რეფერირების პროცედურების ფარგლებში, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან და სამართალდამცავ უწყებებთან ეფექტიანი და კოორდინირებული თანამშრომლობა
- უსაფრთხოების მიზნით, სამეთვალყურეო ტექნიკით (კამერები) აღჭურვილ სკოლის გარე და შიდა პერიმეტრი (გონივრულ ფარგლებში)
- შეიმუშაონ სკოლაში უცხო პირთა შესვლის კონტროლის მექანიზმი. უზრუნველყონ მისი პროცედურულად გაწერა და პასუხისმგებელი პირის/პირების განსაზღვრა
- უზრუნველყონ სკოლებში ძალადობის შემთხვევებისა და მის საპასუხოდ გატარებული ღონისძიებების წერილობითი აღრიცხვა
- უზრუნველყონ ძალადობასთან დაკავშირებით დიფერენცირებული სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება მოსწავლეთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების, ძალადობის სახეების, სქესის და ასაკის გათვალისწინებით
- შეიმუშაონ მოსწავლეთა ძალადობისგან დაცვის შიდა ინსტრუქცია
- უზრუნველყონ შინაგანაწესში მოსწავლეთა უსაფრთხოებასთან, ძალადობისგან და დისკრიმინაციისგან დაცვასთან დაკავშირებული საკითხების დეტალურად გაწერა
- განახორციელონ საინფორმაციო შეხვედრები მშობლებთან შშმ ბავშვთა უფლებებთან, დისკრიმინაციისა და ძალადობისგან დაცვის საკითხებზე. მათ შორის, ძალადობის სახეებთან, მის შედეგებთან, ფსიქოლოგიური ინტერვენციის მნიშვნელობასა და პასუხისმგებლობის ფორმებთან დაკავშირებით
- უზრუნველყონ, საჭიროების შესაბამისად, ინკლუზიური განათლების სპეციალისტების (ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი, ჟესტური ენის სპეციალისტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, ენისა და მეტყველების თერაპევტი) დაქირავება

- უზრუნველყონ ინდივიდუალური ასისტენტის/ასისტენტების შტატში აყვანა, თუ სკოლაში სწავლობენ სსსმ (შშმ) მოსწავლეები, რომლებსაც ესაჭიროებათ დახმარება გადაადგილების პროცესში, არ აქვთ განვითარებული თვითმომსახურების ჩვევები ან აღენიშნებათ სირთულეები ქცევის მართვაში
- უზრუნველყონ სკოლების გარე და შიდა ინფრასტრუქტურის, ასევე, სასწავლო მასალების მისაწვდომობა სსსმ (შშმ) მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად
- უზრუნველყონ რესურს-ოთახების დამხმარე ტექნოლოგიური საშუალებებით, მრავალფეროვანი სასწავლო მასალით და განმავითარებელი რესურსებით აღჭურვა
- საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ მოსწავლეებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება
- უზრუნველყონ მასწავლებლებისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების პროაქტიულ რეჟიმში ინფორმირება ინკლუზიური განათლების მიმართულებით განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტებმა საჯარო სკოლის მასწავლებლებს მკაფიოდ განუმარტონ სსსმ მოსწავლეთა შეფასების წესი
- საგნის მასწავლებლებმა აწარმოონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების დაცვით
- სრულყოფილად აწარმოონ მოსწავლის პირადი საქმე, სადაც განთავსდება: მულტიდისციპლინური გუნდის შეფასება, პედაგოგიური შეფასებები, საგნობრივი შეფასებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები, ინკლუზიური განათლების სპეციალისტის სამუშაო გეგმა, სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობები, ქცევის მართვის გეგმა. საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მონიტორინგის შედეგები საგანთა მიხედვით
- თითოეულმა მასწავლებელმა უზრუნველყოს მის საგანში მოსწავლის პორტფოლიოს წარმოება, რომელშიც შევა: მოსწავლის საგნობრივი შეფასება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგის შედეგები, ადაპტირებული სასწავლო გეგმა, მოსწავლის ნამუშევრები, სპეციალური მასწავლებლის მიერ მისი საგნის ფარგლებში სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ჩატარებული მონიტორინგის შედეგები
- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, კონკრეტული სსსმ მოსწავლის საჭიროებების შესაბამისად მოხდეს საგნობრივი შეფასებებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენა
- უზრუნველყონ მოსწავლის საგნობრივი თუ ზოგადი უნარების ჯეროვანი შეფასება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში
- უზრუნველყონ მასწავლებელთა მიერ ადაპტირებული სასწავლო გეგმების წარმოება
- უზრუნველყონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა დადგენილ ვადაში
- უზრუნველყონ ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მიერ სსსმ მოსწავლის ინტერვენციის (რესურს-ოთახში მუშაობის) გეგმის შედგენა და მისი მონიტორინგი

- ხელი შეუწყონ სსსმ მოსწავლეების (შშმ) ჩართულობას სასკოლო/არასასკოლო აქტივობებში
- უზრუნველყონ ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნა ინტერესთა კონფლიქტის გამომრიცხველი შემადგენლობით და სსსმ მოსწავლეების მშობლების ჩართულობით, ამასთან, სიღრმისეული მონიტორინგის განხორციელება არანაკლებ სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ
- შიდა მონიტორინგის პროცესში უზრუნველყონ ინკლუზიური განათლების კუთხით არსებული ხარვეზების სრულყოფილად იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება.

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს

უზრუნველყოს საჯარო სკოლების ადმინისტრაციასთან მჭიდრო თანამშრომლობა სკოლების ინფრასტრუქტურის (გარე და შიდა) უსაფრთხოებისა და სსსმ (შშმ) მოსწავლეებისთვის მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს

უზრუნველყოს კოორდინირებული და მჭიდრო თანამშრომლობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების ფარგლებში. ამასთან, მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია სსსმ (შშმ) მოსწავლეებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებებთან.

ადგილობრივ თვითმმართველობებს¹³⁹

უზრუნველყონ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და საქართველოს მუნიციპალიტეტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებთა (სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება და მოსწავლეთა ტრანსპორტი უზრუნველყოფა) ჯეროვნად შესრულება.

¹³⁹ გარდა თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული მუნიციპალიტეტებისა.